ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი — შაბათი 24 აპრილი 2004 №91 (2110) — ფასი 50 თეთრი


# EL CLASICO




# რეალი — ბარსელონა

## დიდი ისტორია დღეს: კიჭი კიჭის წილ



მოახლოვდა კიდევ ერთი „რეალი“ — „ბარსა“, „ელ კლასიკოდ“ წოდებული თამაში, რომლის უკანაც დგას უზარმაზარი საფეხბურთო ისტორია, სავსე არა მხოლოდ ფეხბურთით. ეს ისტორია სავსეა ინტრიგებით, თავგადასავლებით, ტკივილებით, მასში მკვლელობა და გატაცებაც კი ურევია, რომ არაფერი ვთქვათ ღორის თავებზე, აკრძალულ დროშებსა და ასრულებულ თუ აუსრულებელ ოცნებებზე. მაგრამ ამ დიდ



ამბავთან, ორი ქალაქის ამბავთან ერთად, ეს არის დიდი ფეხბურთის ისტორია, რომელიც არასოდეს დამთავრდება, ვინაიდან ყოველთვის იარსებებს „რეალი“ და ყოველთვის იარსებებს „ბარსა“, ფეხბურთის ორი საოცრება, რომელთაც ძალუძთ იმის ჩუქება, რასაც ერთი დიდი, ნამდვილი განცდებით სავსე ცხოვრება ჰქვია.

## 29 აპრილს ფედერაციაში აბანოს დღეა




## თეთრი და შავი ქულების ამბავს პროფლიგა დახურულ კარს მიღმა გაარჩევს

## დღეს კი ისეთი თამაშებია, წესით, დედამ შვილი არ უნდა აიყვანოს

### ბოლნისში სიონი — ვიტ ჯორჯიაა

### თბილისში ლოკომოტივი — დინამო

### გორშიც დილა — თბილისია

## მიცემა სირცხვილია!



ქართული ფეხბურთის ავი და შავი თუ გამჟღავნდა, ბევრს თავი აღარ გამოეყოფა

ბადრი ოთარაშვილის ფოტო

# დიღმის სამიტი

## შუშაკამ ჟირესს უმასპინძლა

თბილისის „დინამოს“ დიღმის საწვრთნელ ბაზას გუშინ საპატიო სტუმარი ჰყავდა — საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ალენ ჟირესი. ფრანგის ვიზიტი საქმიანი იყო. ჟირესმა „დინამოს“ ვარჯიშს ადევნა თვალი და წვრთნის დასრულებისთანავე საკმაო ხანს ესაუბრა ივო შუშაკს.



რა იყო კლუბისა და ნაკრების თავკაცთა საუბრის თემა, ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ ძნელი მისახვედრიც არ უნდა იყოს — ჟირესი ნაკრების დინამოელ კანდიდატებს დააკვირდა და შუშაკისგან მათი ზუსტი დახასიათებაც მიიღო.

და კიდევ, ივო შუშაკი, მართალია, სულ რაღაც ორი მატჩით, მაგრამ ერთხელ უკვე გახლდათ საქართველოს ნაკრების თავკაცი და ფრანგ კოლეგასაც თავის გამოცდილებას უეჭველად გაუზიარებდა.

**ბახა შალამბერიძე**

# შოთა, არ წახვიდე!

## ზურას თხოვნა შოთასადმი

— ასე ასათაურებს გლაზგოური გაზეთი „ივნინგთაიმზი“ მცირე წერილს, რომელიც მეტწილად ზურაბ ხიზანიშვილის მონოლოგია.

ხიზანიშვილი და „ივნინგთაიმზის“ ჟურნალისტი დარელ კინგი იმად გაისარჯნენ, რომ ჰოლანდიურ და თურქულ პრესაში რამდენჯერმა დაიწერა, შესაძლოა, რეინჯერსელი შოთა არველაძე ამსტერდამის „აიაქსში“ ან რომელიმე თურქულ კლუბში გადავიდესო. თავად არველაძემ „სარბიელს“ უთხრა, რომ არც „აიაქსიდან“ და არც რომელიმე თურქული კლუბიდან ოფიციალური შეთავაზება ჯერ არ მიუღია. შოთას „რეინჯერსთან“ კონტრაქტი ერთი წლის შემდეგ ეწურება და გლაზგოელები ხელშეკრულების გაგრძელებას სთავაზობენ. ხიზანიშვილმა კი „ივნინგთაიმზს“ გადაუშალა გული:



— მოხარული ვიქნები, თუ შოთა „რეინჯერსთან“ ახალ კონტრაქტს მოაწერს ხელს. არველაძე ჩემი თანამემამულეა და დიდებულია, როცა შენთან შენივე ეროვნების ფეხბურთელი თამაშობს. შოთას „რეინჯერსში“ მისვლამდეც კარგად ვიცნობდი — საქართველოში ჩვენ ოჯახებით ვმეგობრობდით.

— მსურს, რომ შოთასთან ერთად იმდენ ხანს ვითამაშო, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება — ასაკში ჩემსა და შოთას შორის ხომ დიდი სხვაობაა. ის გამოცდილი ფეხბურთელია და „რეინჯერსს“ ბევრ რამეს სძენს. მან კარგად იცის, რა მოეთხოვება „რეინჯერსის“ ფეხბურთელს და გუნდისთვის მხოლოდ სიკეთის მოტანა შეუძლია.

**დავით თავართქილაძე**

P.S. წუხელ ბი-ბი-სი-მ გაავრცელა ცნობა, რომ „რეინჯერსმა“ და შოთა არველაძემ კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივეს.

# ულვაშა ძია როსტოვს გაუბრაზდა

რუსეთის პრემიერლიგის მეშვიდე ტურს რატი ალექსიძე ტრავმის გამო გამოტოვებს. მისი „როსტოვი“ „სატურნს“ სტუმრობს.

გუშინ კი როსტოველთა საიტზე ასეთი ცნობა გავრცელდა: კლუბის მეპატრონემ ივან სავიდიმ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ დამფუძნებელთა კრებაზე იმსჯელებს, შეწყვიტოს თუ არა „როსტოვის“ დაფინანსება „დონსკოი ტაბაკმა“. ეს კი, ფაქტობრივად, კლუბის კოტრად გამოცხადების ტოლფასია. გუშინ რატის სწორედ ამის თაობაზე ვესაუბრეთ.


ივან სავიდი

— თუ მართლა ასე მოხდა, დაშლილა კლუბი და ესაა. თუმცა მაინც მგონია, რომ სივიდიმ ეს განცხადება ცხელ გულზე, „ტორპედო-მეტალურგთან“ სათასო მატჩში 0:3 წაგების მერე გააკეთა. ახლა კლუბს მდგომარეობის გამოსასწორებლად ვადა მისცეს. ბევრი უკვე ფეხბურთელებზეც იქნება დამოკიდებული. „როსტოვში“ საგანგებო სიტუაციაა გამოცხადებული. ფეხბურთელებს ჟურნალისტებთან საუბარიც კი გვეკრძალება.

**დავით ერაძე**

### ავსტრია

I დივიზიონი. XXXI ტური

ბლაიბერგი 3:1 ლეობენი
ლინცერი 4:2 უნტერზიბენბრიუნი
ტიროლი 1:0 რიდი
ლუსტენაუ 4:0 ვიორგლი
კაპფენბერგი 3:0 აუსტრია (ლ)

### შვეიცარია

ჩელენჯლიგა. XXV ტური

ბადენი 3:1 ივერდონი
კრინსი — შაფჰაუზენი 0:0-ზე ჩაიშალა
ლუცერნი 1:3 ვინტერთური

### ირლანდია

პრემიერლიგა. VIII ტური

უოტერფორდი 1:1 შელბურნი
კორკ სიტი 0:0 დროჰედა
სენტ პატრიკსი 1:2 შემროკი

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XXXIII ტური

კლერმონი 0:1 შატორუ
ისტრი 0:2 სენტ ეტიენი

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XXX ტური

ოსნაბრიუკი 0:2 უნიონი
ბურგჰაუზენი 2:1 ლიუბეკი
მაინცი 4:1 დუისბურგი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXVIII ტური

შალკე (მ) 2:1 დინამო

სამხრეთ რეგიონალლიგა XXVIII ტური

ბაიერნი (მ) 1:1 ელვერსბერგი
ზიგენი 1:2 ეშბორნი
ერფურტი 2:1 შტუტგარტი (მ)

### პორტუგალია

სუპერლიგა. XXXII ტური

ჟილ ვისენტე 0:1 ბოავიშტა

### პოლონეთი

I ლიგა. XX ტური

გროცლინი 1:6 ვისლა

### თურქეთი

სუპერლიგა. XXXI ტური

მალათია 1:2 გალათასარაი

### ჰოლანდია

I დივიზიონი. XXXI ტური

როდა 1:1 უტრეხტი

II დივიზიონი. XXXIV ტური

ეინდჰოვენი 0:3 დენ ბოსხი
ჰერაკლესი 0:1 სპარტა
ემენი 1:1 მაასტრიხტი
კამბური 0:0 ვეენდამი
აპელდორნი 1:2 იგლსი
ოსი 3:1 სიტარდი
ვენლო 3:0 დორდრეხტი
ექსელსიორი 3:0 ჰაარლემი
ტელსტარი 0:1 ჰელმონდი

### ბელგია

ჟუპილერლიგა. XXXI ტური

მუსკრონი 1:1 ბრიუგე

### იტალია

სერია B. XXXIX ტური

ვერონა 1:2 პალერმო

### ჩეხეთი

გამბრინუსლიგა. XXVII ტური

ბანიკი 1:0 ტეპლიცე

*საქართველოს ექსპერიმენტულ ნაკრებში სამი ლეგიონერი მოხვდა — ქოჯაელელი გივი დიდავა და სკონტოელები, ლევან კორღალიძე და ზურაბ მენთეშაშვილი. ამათგან საქართველოს ნაკრებში ბოლოხანს მხოლოდ კორღალიძეს იწვევდნენ.*

*ლევანთან სასაუბრო ისედაც გვქონდა — „სკონტო“ ლატვიის ჩემპიონატში ძველებურად ვერ ბობოქრობს და მეექვსე ტურის წინ მესამე ადგილზე იყო. ბოლოს რიგელებმა საეჭვო პენალტით 1:0 მოიგეს, თუმც აქედანვე ცხადია, რომ ქვეყნის მუდმივ ჩემპიონს ტიტულის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება*

# ლევან კორღალიძე: თავის მოკვლაზე აღარ ვფიქრობ



— 26 აპრილს ჩამოვალ საქართველოში. მანამდე აქ კიდევ ერთი თამაში გვაქვს და მერე ნაკრებსაც შევუერთდები.

— ლიეპაიას „მეტალურგსი“ თქვენი ახალი კონკურენტია?

— ასე გამოდის. ადრე „ვენტსპილსი“ უფრო გვეომებოდა, მაგრამ ახლა „მეტალურგსი“ წამოიქაჩა. ხვალ ზუსტად ამ გუნდს ვეთამაშებით და ბევრი რამ გაირკვევა. „სკონტო“ — „მეტალურგსის“ მატჩს ყველა სულმოუთქმელად ელის. ლატვიაში დიდი ხანია ვთამაშობ, მაგრამ ამხელა ინტერესი არასოდეს ყოფილა.

— ისე, ამ სეზონში მაგრად გაგიჭირდათ...

— გუნდების დონე თითქმის გათანაბრდა და ამის გამო ლიდერები ბევრ ქულებს კარგავენ. შესაბამისად, ინტრიგა იზრდება, რაც ხალხს ძალიან სიამოვნებს. ადრე 10:0-ს რომ ვიგებდით, ახლა ასე აღარაა. ჩემპიონობა უკვე განაღდებული კი არა, მოსაპოვებელი გვაქვს.

— „სკონტო“ დასუსტდა თუ სხვები გაძლიერდნენ?

— არა მგონია, ერთი კაცის გაშვებით „სკონტო“ დასუსტებულიყო. მხოლოდ ვერპაკოვსკისი წავიდა კიევის „დინამოში“. თან შემადგენლობა ისედაც გავაძლიერეთ. გამოდის, რომ სხვა გუნდები მოღონიერდნენ, რაც აშკარად იგრძნობა.

— იმასაც ამბობენ, ბოლო ტურში „სკონტომ“ მსაჯის დახმარებით საეჭვო პენალტით მოიგო...

— სისულელეა. მიხოლაპსს. ერთდროულად სამი მცველი ჩაუვარდა ფეხებში და მოცელეს. რა იყო ამაში საეჭვო?!

— ალექსანდრე რეხვიაშვილი ისევ თქვენთანაა?

— ალეკოს ოჯახი რიგაში ჰყავს, მოსკოვის „ტორპედო-მეტალურგში“ ისედაც არ ათამაშებდნენ და ჩვენთან ვარჯიში ამჯობინა, ყოველდღე გუნდთან ერთადაა.

— ნაკრებზე რას იტყვი?

— რა ვიცი. თავიდან კი ვყოყმანობდი ჩამოსვლაზე.

— რატომ?

— ბოლო ორ კვირაში უკვე ექვსი მატჩი ვითამაშე, ხვალ მეშვიდეა, 26-ში თბილისში მოვფრინავ და მეორე დღეს ნაკრებში უნდა ვითამაშო. ძალიან დატვირთული კალენდარი გვაქვს და ვგრძნობ კიდეც, რომ გადაღლილი ვარ. უბრალოდ, რადგან გამომიძახეს, უარის თქმა არ გამოდის. უნდა ჩამოვიდე და ვითამაშო. თავიდან კი მეშინოდა, ასე დაღლილი ჟირესს რომ არ მოვეწონო, ეგებ ჩემზე მერე გული აიცრუოს-მეთქი, მაგრამ ამაზე ახლა საერთოდ აღარ ვფიქრობ.

— ეგ რას ნიშნავს?

— ადრე ნაკრებში რომ მიმიწვევდნენ, სიხარულისგან მეცხრე ცაზე ვიყავი, ახლა უფრო რეალურად ვუყურებ ყველაფერს. თუ გამომიძახებენ, სიამოვნებით ჩამოვალ, არადა, თავს არ მოვიკლავ. არა მგონია, კარგი თამაში ვინმემ დამიკარგოს. თუ დავიმსახურებ, დამიძახებენ. სხვა შემთხვევაში თავის მოკვლა არ ღირს.

**ბახა შალამბერიძე**


ფეხბურთი
ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი
პირველი ლიგა
26 აპრილი
ოცდამეოთხე ტური
ამერი — მეტალურგი
თბილისი ზესტაფონი
დასაწყისი 16 საათზე. დასწრება უფასოა

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს უმაღლესი ლიგის 15 ჩემპიონატი მეორე ეტაპი — ლიგა — 6 ტური

ანონსი

# ბოლნისი ციხესავით გამაგრდა



ავქსენტი გილაური და გიორგი ადამია (№7) დღესაც იჭიდავებენ

*31 ქულა აქვს „სიონს", ამდენივე „ვიტ ჯორჯიას" და ჩემპიონატის ორი ლიდერი დღეს მეექვსე ტურის უმთავრეს მატჩში ერთმანეთის პირისპირ დადგება. ბოლნისური მატჩი მართლაც გადამწყვეტია ორივე გუნდისთვის და ნაღდი, უშელავათო ბრძოლაა მოსალოდნელი.*

*ერთი კვირაა, მთელი ბოლნისი დღევანდელი თამაშისთვის ემზადება. ქალაქში კარგა ხანია, აფიშებია გაკრული, ადგილობრივი ტელევიზია კი ყოველ ერთ საათში მაყურებელს „სიონის" მხარდასაჭერად მოუწოდებს, თუმც უამისოდაც შენთებული აქვთ საფეხბურთო ცეცხლი ბოლნისელებს. სიონელებმა გვითხრეს, სტადიონი ისე გაივსება, ნემსის ჩასავარდნი ადგილი არ იქნებაო.*

*საამმატჩოდ მობილიზებულნი არიან სამართალდამცავებიც, წინა მატჩებში მომხდარი ექსცესების გამო პროფლიგის მესვეურებმა მეტი ყურადღება და ორგანიზებულობა მოსთხოვეს ბოლნისელებს და გარანტიებიც მიიღეს — მატჩისას და მისი დამთავრების შემდეგაც ნესრიგი იქნებაო.*

**ბოლნისი. 24 აპრილი. 16 საათი. თამაზ სტეფანია**

## სიონი — ვიტ ჯორჯია

**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. კრიჭაშვილი (თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი
**დირექტორი:** ს. კოტრიკაძე; **დისკვალიფიცირებული:** ბაქრაძე (სიონი)

„სიონი" საამმატჩოდ „თამაზ სტეფანიას" მახლობლად მდებარე ტყე- პარკში შეიკრიბა. იქ ბოლნისელებს 22-ადგილიანი ბაზა აქვთ სავარჯიშო მოედნით, სადაც ინტენსიური ორდღიანი წვრთნის შემდეგ გუშინ საღამოს მსუბუქად ივარჯიშეს და დღეს სრულ მზადყოფნაში დაუხვდებიან მეტოქეს.

***გიორგი ყიფშიძე, „სიონის" მწვრთნელის თანაშემწე:*** ბიჭებს ერთი სული აქვთ, როდის გავლენ მოედანზე, ყველა ფორმაშია, ბრძოლისთვის მზად არიან.

— ტრავმირებული ხომ არავინაა?

— მხოლოდ შალვა ხუჯაძე, რომელსაც მყესები აქვს დაჭიმული და ალბათ სეზონის ბოლომდე ვერ დაგვეხმარება, თუმც საგანგაშო არაფერია, ხუჯაძის გარეშე თამაშს მივეჩვიეთ. ვფიქრობ, „სიონს" შესაძლებლობების სრულად წარმოსაჩენად იდეალური დრო უდგას, ხელიდან არ უნდა გავუშვათ ერთპიროვნული გალიდერების შანსი და საამისოდ „ვიტ ჯორჯიას" დამარცხებაა საჭირო.

— „სიონს", ტრადიციულად, ყოველთვის უჭირდა „ვიტ ჯორჯიასთან" თამაში.

— ამაში მხოლოდ მეტოქეა დამნაშავე. „ვიტ ჯორჯია" შემართული, შეკრული და ყველასათვის ძნელად წასაქცევი გუნდია, ამიტომ შევეცდებით, მაქსიმალურად ყურადღებით ვიყოთ, თორემ მეტოქე პატარა შეცდომასაც არ გვაპატიებს.



***მურაზ კოჭლაშვილი, „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელი:*** მიხარია, რომ „სიონი" სავსე ტრიბუნებით დაგვხვდება, ფეხბურთელი სწორედ სავსე ტრიბუნის წინ უნდა გაიზარდოს, მისთვის ხალხისთვის თამაში დიდი სტიმულია. ამიტომ „ვიტ ჯორჯია" გადაჭედილ ტრიბუნებს არ შეუშინდება, მეტიც, უფრო მონდომებით იბრძოლებს და მჯერა, მიზანსაც მიაღწევს.

*მეტოქისგან განსხვავებით, კოჭლაშვილი პრობლემებით ჩადის ბოლნისში, რაკიღა ბოლო, „ლოკომოტივთან" მატჩში პაატა დათუნაიშვილი და კაპიტანი ლაშა ნოზაძე დაუშავდა.*

— არ მინდა ვიფიქრო, რომ ლოკომოტიველებმა შეგნებულად დაამტვრიეს დათუნაიშვილი და ნოზაძე, ფაქტია, ეს ორი ფეხბურთელი დღეს ძალიან გვჭირდება და ისიც ფაქტია, რომ ამათი თამაში ბოლნისში დიდად საეჭვოა. ორივემ დღეს იძუნძულა, მაგრამ ტკივილები ისევ აწუხებთ. მათ გარეშე ძალიან გაგვიჭირდება.

— რამდენიმე დღეა, ვარჯიში დაიწყო თენგიზ კობიაშვილმა, მას თუ დაიხმართ „სიონთან"?

— ბედად, კობიაშვილი მწყობრშია და მისი დიდი იმედი გვაქვს, ისევე როგორც გამარჯვების. ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ. ვიცი, დიდი ბრძოლა გველის, მაგრამ მოგების ფასიც ის არის, დიდ ბრძოლაში რომ დარჩები გამარჯვებული.

# შუშაკს ლოკომოტივის მწვანე და წითელი არ აინტერესებს

**თბილისი. 24 აპრილი. 18 საათი. ლოკომოტივი**

## ლოკომოტივი — დინამო

**მსაჯები:** ა. შილაკაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია
**დისკვალიფიცირებული:** გაგუა (ლოკომოტივი)

*თავისი წილი ინტრიგა „ლოკომოტივ" — „დინამოს" დაპირისპირებასაც ექნება. პირველ წრეში დინამოელები უგოლო ფრეს დასჯერდნენ და „ჩამოცურებაც" ამ მატჩით დაიწყო*

***ზაურ სვანაძე, „ლოკომოტივის" მწვრთნელი:*** გუნდში საბრძოლო განწყობაა. მატჩის წინ არანაირ ფსიქოლოგიურ ზეწოლას არ ვგრძნობთ — არც ფრისთვის დაგვძრახავს ვინმე და არც წაგებისთვის. დანარჩენს უშუალოდ თამაში გაარკვევს. სამწუხაროა, რომ დისკვალიფიკაციის გამო ვალერი გაგუა დაგვაკლდება. თამაშის წინ მივიღებ გადაწყვეტილებას, იმ ოთხი ნათხოვარი დინამოელი ფეხბურთელიდან რომელი ორი ვათამაშო ძირითადში. გარდა ამისა, ჩვენს გუნდს მეორე ეტაპზე ჯერაც არ გაუმარჯვია და ეს პრესტიჟის საქმეცაა — უნდა მოვიგოთ.

***ივო შუშაკი, „დინამოს" მწვრთნელი:*** ჩემპიონატი ახლა ისეთ სტადიაშია, რომ ყველა შეხვედრა გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. ამ მატჩიდან მოყოლებული, ჩვენ ყველა შეხვედრაში მხოლოდ მოგებაზე ვითამაშებთ. არც იმას ვაქცევ დიდ ყურადღებას, რომ „ლოკომოტივს" ჯერ არც ერთი თამაში არ მოუგია. ამ გუნდთან საშინაო მატჩში მეტად მნიშვნელოვანი ქულები დავკარგეთ. ამიტომაც ვფიქრობ, რომ „ლოკომოტივი" საკუთარ სტადიონზეც დიდ წინააღმდეგობას გაგვიწევს. ჩემი გუნდის ყველა ფეხბურთელი, კაშიას გარდა, ჯანმრთელადაა და მატჩისთვის სერიოზულად ემზადება.

| I-VI ადგილები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 5 | 3 2 0 | | 9:3 | 31 |
| ვიტ ჯორჯია | 5 | 3 1 1 | | 5:1 | 31 |
| დინამო | 5 | 1 2 2 | | 9:6 | 30 |
| თბილისი | 5 | 2 3 0 | | 9:4 | 27 |
| ლოკომოტივი | 5 | 0 2 3 | | 1:7 | 19 |
| დილა | 5 | 0 2 3 | | 0:12 | 19 |

| VII-XII ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 27 |
| ბათუმი | 5 | 2 | 0 | 3 | 3:6 | 22 |
| მცხეთა | 5 | 3 | 2 | 0 | 6:2 | 21 |
| კოლხეთი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:4 | 18 |
| სპარტაკი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 15 |
| მერცხალი | 5 | 0 | 1 | 4 | 1:7 | 6 |

# გორმა თბილისი სამჯერ დააგორა

**გორი. 24 აპრილი. 16 საათი. თენგიზ ბურჯანაძე**

## დილა — თბილისი

**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი); მ. მალაღურაძე (თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ვ. ბარქაია
**დისკვალიფიცირებულნი:** მესხი, ხოჯავა, ფიფია, ქემოკლიძე (ყველა თბილისი)

***ზურაბ ხორგუაშვილი, „დილას" მწვრთნელი:*** ხვალინდელ მატჩს დიდი დანაკლისით ვხვდებით. რევაზ ხაჭაპურიძე, გაგა და ბექა ჩიტაიები ტრავმირებულნი არიან — „დინამოსთან" სათასო მატჩში დაშავდნენ და ჯერაც ვერ გამოჯანმრთელდნენ. ზაზა ლაცაბიძეს და ლევან გოჩაშვილს კი სიცხე აქვთ. მოკლედ, თითქმის ნახევარი გუნდი მაკლია.

— „დილას" წლეულს ერთი მატჩიც არ მოუგია. ეს დამატებითი ფსიქოლოგიური ტვირთი არ არის?

— არა, ხვალ მოვიგებთ. ხალხი კი გვაკლია, მაგრამ მათი შეცვლა შეგვიძლია.

— ისე, „თბილისი" თასიდან კი გააგდეთ...

— თასიდანაც გავაგდეთ და ჩემპიონატის პირველ ტურში ქულაც ავართვით. საერთოდ, წლეულს ყველაზე კარგი შთაბეჭდილება ამ გუნდმა დამიტოვა, მაგრამ ჩვენ ჩვენსას ვეცდებით. „თბილისის" დამარცხება შეგვიძლია.

***გიორგი დევდარიანი „თბილისის" მწვრთნელი:*** ძალიან დაძაბული თამაში იქნება. წინა ტურში „სიონთანაც" მძიმე მატჩი გვქონდა და თან იმ თამაშში გაფრთხილებული რამდენიმე ფეხბურთელი დისკვალიფიკაციის გამო დაგვაკლდება, რაც ჩვენთვის საკმაო დარტყმაა.

— გორის „დილაზე" რას იტყვით?

— რა უნდა ვთქვა, ამ გუნდმა სიცოცხლე გაგვიმწარა. თასიდანაც გაგვაგდო და ჩემპიონატშიც დაგვაკარგვინა ქულები. ერთადერთი შეღავათი ისაა, რომ „დილამ" აქცენტი თასზე გადაიტანა და ჩემპიონატს დიდ ყურადღებას არ უთმობს.

— შემადგელობაში ბევრი ცვლილება გექნებათ. ეს ცუდად ხომ არ იმოქმედებს ხვალინდელ მატჩზე?

— ცხოვრება ისეთია, რომ მუდმივად სირთულეების დაძლევაზე უნდა იფიქრო. აბა, ჩვენს ჩემპიონატში ისეთი ამბები ხდება, თუ დანებდი, ყველაფერზე აიღებ ხელს. მაგრამ „თბილისი" უკან არ დაიხევს. ჩვენ დიდი გეგმები გვაქვს და გზიდან არ გადავუხვევთ. შემადგენლობასაც მოვუვლი და იმედია, ხვალინდელ მატჩსაც მოვიგებთ.



თბილისელი მირიან გეწაძე და გორელთა მეკარე რამაზ სოლოლაშვილი წლეულს ერთმანეთს სამჯერ შეხვდნენ, სამჯერვე ფრე იყო. რა იქნება ახლა?

**ოზურგეთი. 24 აპრილი. 16 საათი. ცენტრალური**

## მერცხალი — ტორპედო

**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ზ. ჯვარიძე, ა. ნონიკაშვილი (ორივე თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); **სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე
დისკვალიფიცირებული: ჭალიაშვილი (მერცხალი)

**ფოთი. 24 აპრილი. 16 საათი. ფაზისი**

## კოლხეთი — მცხეთა

**მსაჯები:** ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ზ. მენთეშაშვილი (თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი
დისკვალიფიცირებული: ლ. ჩხაიძე (მცხეთა)

**თბილისი. 25 აპრილი. 16 საათი. ოლიმპიკი**

## სპარტაკი — ბათუმი

**მსაჯები:** მ. მაისურაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ზ. ანიაშვილი (გორი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ს. კუტივაძე
დისკვალიფიცირებული: ტატანაშვილი (სპარტაკი)

საფეხბურთო კლუბ „თბილისის“ ერთ-ერთმა მესვეურმა მამუკა გუგეშაშვილმა გუშინდელ „სარბიელში“ ქართულ ფეხბურთში არსებულ კორუფციაზე ილაპარაკა და დასძინა, რომ კონკრეტული სამხილებიც მოეპოვება. საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს კი ახალშექმნილი პროფლიგა ატარებს და, ცხადია, საინტერესოა პროფლიგის რეაქცია გუგეშაშვილის მიერ პრესაში გაკეთებულ განცხადებებზე. გუშინ სწორედ ამ თემაზე ვესაუბრეთ პროფლიგის გენერალურ მდივან რევაზ ლორთქიფანიძეს

# საქმე დახურულად გაირჩევა

## გუგეშაშვილის ფაქტებს 29 აპრილს ელიან



— ალბათ გაეცანით გუგეშაშვილის ინტერვიუებს — როგორია პროფლიგის პოზიცია?

— პროფლიგამ გადაწყვიტა, რომ ყველაფერ ამასთან დაკავშირებით 29 აპრილს საგანგებო სხდომა ჩაატაროს. რა თქმა უნდა, სხდომაზე ყველა კლუბის წარმომადგენელია მოწვეული და ამ სხდომაზე ყველაფერი კონკრეტულად, ზუსტად უნდა ითქვას. თუ გუგეშაშვილი ფაქტებს დაგვიდებს, აუცილებლად გატარდება შესაბამისი ზომები.

— სადისციპლინო კოდექსი ფეხბურთელის მოქრთამვის შემთხვევაში რა სასჯელს ითვალისწინებს?

— კოდექსის მიხედვით, ასეთი ფაქტის შემთხვევაში ჯარიმა მინიმუმ 10 000 ლარია, თუმც შესაძლოა, საქმე სამუდამო დისკვალიფიკაციითაც დასრულდეს. ცხადია, დაისჯება დამკვეთიც. მაგრამ ასეთი ფაქტების დამტკიცება ძალიან ძნელია.

— რატომ, ხომ შეიძლება, რომ პროფლიგა ბოლომდე ჩაეძიოს ფაქტებს?

— ჩვენ ძალოვანი სტრუქტურებივით ვერ ვიმოქმედებთ — ამის არც საშუალება გვაქვს და არც უფლება. კარგი იქნება, თუ ნებაყოფლობითი აღიარება მოხდება, მაგრამ ეს ნაკლებად სავარაუდოა.

— გუგეშაშვილის განცხადებებში ეჭვი გეპარებათ?

— გუგეშაშვილის მჯერა, მაგრამ მეორე მხარემ რომ უარყოს ბრალდებები?

— აბა, გამოსავალს რაში ხედავთ?

— პირადად ჩემი აზრი ასეთია: პროფლიგის წევრი ყველა კლუბის თანხმობით უნდა შეიქმნას კომისია, პიროვნებათა გარკვეული ჯგუფი, რომელიც უფლებამოსილი იქნება ვერდიქტების გამოსატანად.

— თუ გუგეშაშვილი 29 აპრილის სხდომაზე კონკრეტულ ფაქტებს არ წარმოადგენს, ასეთ შემთხვევაში პროფლიგა როგორ იმოქმედებს?

— გუგეშაშვილმა ისეთები თქვა პრესაში, რომ შუა გზაზე გაჩერება ნამდვილად არ შეიძლება. სხვათა შორის, ასეთი სხდომის ჩატარების ინიციატივა „თბილისიდან“ მოდის.

— სხდომას მხოლოდ ზეექვსეულის გუნდთა წარმომადგენლები დაესწრებიან?

— სხდომაზე უმაღლესი ლიგის თორმეტივე გუნდს მოვიწვევთ.

— სხდომას ჟურნალისტებსაც დაასწრებთ?

— არა, სხდომა დახურული იქნება.

**დავით თავართქილაძე**

# წავახალისოთ ინსტინქტები

## ვილაპარაკოთ ქრთამზე

*ეს დაუწყობელი და ალბათ ურთმანეთის გამომრიცხავი ფიქრები გუშინდელ „სარბიელში“ გამოქვეყნებულმა კლუბ „თბილისის“ ერთ-ერთი თავკაცის მამუკა გუგეშაშვილის ინტერვიუმ აღმიძრა. ინტერვიუ საქართველოს ჩემპიონატში ლამის ოფიციალური სტატუსისთვის შებრძოლ მექრთამეობას ეხებოდა — სიტყვა კორუფცია რაღაც ძალიან ლათინური და თითქოს მსუბუქია. ბატონ მამუკას მოჰყავდა, მართალია, დაუკონკრეტებელი, მაგრამ მაინც ფაქტები და ეს ძალიან კარგი იყო, რადგან დროა, ამ ჯანდაბაზე ლაპარაკი დავიწყოთ და აღარ დავასრულოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში...*

იცით, რა, ამას წინათ სუფრაზე ერთ სახელმწიფო სამსახურში მდგომ წვრილმოხელეს გადავეყარე. ასეთი რამ მითხრა: ყველა რეფორმატორმა ჯობს თავი დაგვანებოს, რადგან ჩვენ, ქართველებს ცხოვრების ჩვენებური ადათი გვაქვს და სხვანაირად არაფერი გამოგვივაო. ქრთამით ცხოვრებას გულისხმობდა. იმ კაცს ფეხბურთთან არანაირი შეხება არ აქვს, არც ვარ დარწმუნებული, რომ ქომაგია, მე კი, რაღა დაგიმალოთ, სპორტის ამ სახეობაზე მიფიქრია და ის მომიფიქრებია, რომ ფეხბურთმა ქართველი და გერმანელი არ იცის. აქ საქმე მოგება-წაგებაზეა. იგებს ის, ვინც უკეთ თამაშობს, მეტს დარბის, უფრო ღონიერია, მოგება უნდა, ფულს წაგებაში კი არა, გამარჯვებაში უხდიან, გოლს წლობით განზრახ კი არ უშვებს, იქით გააქვს და სხვა.

ისე, მექრთამეობა ჩვენში ლამის მართლა რელიგიის რანგშია აყვანილი. უბრალო ხალხზე მოგახსენებთ. სწორედ მათგან მომისმენია, რომ ჩემპიონთა ლიგაში, სხვადასხვა წამყვანი ქვეყნების ჩემპიონატებში, თვით მსოფლიოსა და ევროპის პირველობებზე თითქმის ყველფერი ჩაწყობილი და ნაყიდია. ამ ტოტალიზატორებმა ხომ მთელ ერს გაგვაფრენინეს. ერთმა ძალიან კარგმა ადამიანმა იტალიელ კრისტიან ვიერიზე მითხრა, ვარჯიშის შემდეგ ბაზაზე რჩება და ხელსაყრელი პოზიციიდან აცილებაში, ბურთის ძელისთვის გარტყმაში და რაღაც ეგეთებში ვარჯიშობსო.

მესმის, რომ რასაც ახლა ვიტყვი, შესაძლოა, არაპოპულარული გამოდგეს, მაგრამ, მერწმუნეთ, შეუძლებელია კარგად თამაშობდნენ იქ, სადაც ძალად წაგება ნორმაა. გამორიცხულია, თუ კაცმა იცის, რომ ათიდან ხუთ შემთხვევაში განზრახ ცუდად თამაშს სთხოვენ, ვარჯიშით თავი მოიკლას და წლობით იმ ტემპით ითამაშოს, რასაც კვირაში რამდენჯერმე ტელევიზიით ვუყურებთ. ამ ტემპით და ასე ნორმალური ადამიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითამაშებს, თუ ამ ტემპით და ასე თამაშში გადაუხდიან.

და კიდევ ერთი, ვფიქრობ, ყველაზე ნაღდი არგუმენტი: თქვენ, ბიძია, ნარდს რომ ჩაუჯდებით სუფრასთან მიპატიჟების წინ, მოსაგებად თამაშობთ თუ წასაგებად? მოსაგებად, ხომ? ჰოდა, ეს ინსტინქტია, ყველა ადამიანი ასეა, ხოლო იმ ქვეყნებში და ლიგებში, სადაც ფულით ინსტინქტის წახალისებას აზდენენ, ყველაფერი კარგადაა. ცალკეული შემთხვევა შეიძლება გამონაკლისი, იშვიათობა იყოს. მეტიც, შეიძლება სადმე ქრთამიც იყოს, მაგრამ არა როგორც ნორმა!

მამლების ბრძოლა გაგიგონიათ? მამალი რომ მამალია, ისიც მოსაგებად იბრძვის...

ამიტომაც მართლა უნდა დავიწყოთ გამოსავალზე, ნორმალურად ცხოვრებაზე დაუსრულებელი ლაპარაკი, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ბუნების, ინსტინქტის წინააღმდეგ სვლა გამოგვივა და რასაც მივიმკით (ისე, უკვე კარგად ვიმკით, რას იტყვით?!) ვნახავთ. მერწმუნეთ, ბიჭები, რომლებიც ამ საბრალო საქართველოს ჩემპიონატში გამოდიან, ფეხბურთელები იმიტომ არ გამხდარან, რომ წააგონ და ამაში ვინმემ პურის ფული გადაუხადოს.

მამუკა გუგეშაშვილი ამბობს: ერთი გუნდის ოთხ ფეხბურთელს შევხვდი. მითხრეს, რომ მოგებაზე პრემია სამასი ლარი აქვთ, მაგრამ თუ ხუთასს მიიღებენ, დამკვეთის ინტერესების მიხედვით იმოქმედებენ.

საცოდაობაა. თანაც ეჭვი არ გვეპარება, რომ ეს ბიჭები იმ ხუთას ლარად მოგებას გაცილებით დიდ პატივს სცემენ და გემოს ატანენ, ვიდრე წაგებას.

ამიტომ დავიწყოთ ლაპარაკი, ფიქრი, მუშაობა და მოგება, თორემ ფეხბურთს თავისი წესი აქვს და სულ არ აღარდებს, ქართველებს რა გვიყვარს და რა არა.

**პაპუნა ძიძია**

# ყველამ იცის, რომ ეს არის ვერავინ ამტკიცებს, ეს რომ არის

| I-VI ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 5 | 3 | 2 | 0 | 9:3 | 31 |
| ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 1 | 1 | 5:1 | 31 |
| დინამო | 5 | 1 | 2 | 2 | 9:6 | 30 |
| თბილისი | 5 | 2 | 3 | 0 | 9:4 | 27 |
| ლოკომოტივი | 5 | 0 | 2 | 3 | 1:7 | 19 |
| დილა | 5 | 0 | 2 | 3 | 0:12 | 19 |

| VII-XII ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 27 |
| ბათუმი | 5 | 2 | 0 | 3 | 3:6 | 22 |
| მცხეთა | 5 | 3 | 2 | 0 | 6:2 | 21 |
| კოლხეთი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:4 | 18 |
| სპარტაკი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 15 |
| მერცხალი | 5 | 0 | 1 | 4 | 1:7 | 6 |

ქულები
*ვისია და რამდენი თეთრი და შავი ?*
ფულები

# გაჭირდა ცხოვრება

## ტორპედო და, აქეთ პროკურატურა, იქით ლაპარაკები

*გუშინ ქუთაისის „ტორპედოს“ სანვრთნელ ბაზაზე კლუბის ხელმძღვანელობამ პრესკონფერენცია გამართა. ჟურნალისტებს ესაუბრნენ გუნდის ვიცე-პრეზიდენტი შედან ნანიკაშვილი და მწვრთნელი ოთარ გაბელია. თავდაპირველად სიტყვა შედან ნანიკაშვილმა ითხოვა და პროკურატურასთან გართულებულ ურთიერთობაზე ისაუბრა...*



ჯერ საგადასახადომ შეგვამოწმა, შემდეგ მე-6 განყოფილებამ. ბოლოს ჩვენი საქმიანობით საოლქო პროკურატურაშიც დაინტერესდნენ. არადა, დიდი დარღვევები არ გვქონია. ყველაფერი ჭორზე აიგო. როდესაც ფეხბურთელებს გუნდთან კონტრაქტები დაუმთავრდათ, ისინი ყოველგვარი თანხის გარეშე გავუშვით, მაგრამ არასწორი ინფორმაცია გავრცელდა, თითქოს ფული გავაკეთეთ. შეიძლება, ბუღალტერიაში რაღაც უმნიშვნელო გამოგვრჩა, მაგრამ აქ კრიმინალი ნამდვილად არაა, თანაც მე ძირითადად სპორტულ მხარეს ვაქცევ ყურადღებას. ძალიან გვაბრკოლებს ის, რომ „ტორპედოს“ ანგარიში დაყადაღებულია. საჩივარი დაწერილი გვაქვს და იმედია, უზენაესი სასამართლო ჩვენთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას მიიღებს. ქუთაისის მერია კლუბის ათპროცენტიანი წილის მფლობელია. ქალაქის ხელმძღვანელობასთან შეხვედრას ვაპირებთ. კომუნალური ხარჯების გადახდაში მაინც რომ დაგვეხმარონ, მადლობლები ვიქნებით. დიმიტრი რამიშვილი და ვლადიმერ გუცაევი ჩვენი გუნდის მეწილეები იყვნენ, მაგრამ დღესდღეობით „ტორპედოსთან“ მხოლოდ მეგობრული ურთიერთობა აქვთ. უეფას თასზე თუ გავედით, ბიჭებს, რა თქმა უნდა, წავახალისებთ.

*ოთარ გაბელია:* ჩვენ უეფას თასზე რომ გავიდეთ, შეიძლება, არ დაგვიშვან, რადგან გუნდს ლიცენზირება არ გაუვლია. ამას ხელს უშლის ყადაღა, რომელიც გუნდის ანგარიშს ადევს.

„სპარტაკთან“ თამაშმა ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. თბილისში მსაჯს შენიშვნა მივეცი და ასე მითხრა, თამაშს აძლევ და რას ნერვიულობო. ამაზე გავგიჟდი, ეს როგორ მითხრა. კოშკაძე, დავითაშვილი და თოდუა დავასვენე, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ დამეყენებინა, არაფრის გამო ყვითელს მისცემდა და სათასო მატჩს, რომელსაც უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებდით, გამოატოვებინებდა. ყველამ იცოდეს, ოთარ გაბელია თამაშს არავის მისცემს და სხვისგანაც არ მოითხოვს.

ჯერჯერობით მოწვეულებიდან კოშკაძის, დავითაშვილის და ბოლქვაძის თამაშით ვარ კმაყოფილი. ნერგაძეც კარგი ფეხბურთელია, თუმცა, სამწუხაროდ, ასაკის გამო ახალგაზრდული ნაკრები აღარ უწევს. დარსაძემ და მეკარე რევიშვილმა უნდა მოუმატონ, ისინი 19-წლამდელთა ნაკრებში არიან გამოძახებულნი. „ტორპედოდან“ რამდენიმე მოთამაშეს ჟირესსაც ვურჩევ, ერთ-ერთზე, ჩხეტიანზე, თავად მითხრა, ამხელა ჯანი აქვს და თუ ცოტა თავი გაანძრია, კარგი ფეხბურთელის მონაცემები აქვსო. ჩვენთან ვარჯიშობს 21 წლის ოდესელი დენის არესტოვი, რომელიც ამპლუით მარჯვენა მცველია. ბოლოს ის ზაპოროჟიეში თამაშობდა. პერსპექტიული ბიჭია, თუმცა ეტყობა, ვარჯიში აკლია. მაისის ბოლომდე კიდევ დავაკვირდებით და თუ სხვას ორი თავით არ აჯობა, ისე მის დატოვებას აზრი არ ექნება.

**გია ამირანაშვილი**
*ქუთაისიდან*

*ქართული ფეხბურთის ნიჭიერი თაობა არასოდეს ჰკლებია. ოღონდ, იყო ხოლმე ასეც: გაიბრწყინებდნენ ახალგაზრდები, გაჩნდებოდა იმედი, მერე კი ილუზია ქრებოდა...*

*ალბათ ბევრს ახსოვს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, რომელმაც იტალიელებს მოუგო, მაგრამ, სამწუხაროდ, იმ თაობიდან დღეს მხოლოდ მამუკა წერეთელი და გივი კვარაცხელია ითვლებიან ეროვნული ნაკრების კანდიდატებად.*

*გივი კვარაცხელია გუშინ რედაქციაში ვისტუმრეთ და მასთან წარსულსა და აწმყოზე ვისაუბრეთ*



# დაუჯერე მეგობარს

## გივი კვარაცხელია სურვილს არ მალავს

— შარშან თითქოს გერმანულ „კარლსრუეში" გადადიოდი. რატომ ჩაიშალა ის ტრანსფერი?

— ბევრი რამ ჩემთვის ახლაც გაურკვეველია. გერმანულ გუნდს მაშინ კიოსნერი წვრთნიდა. მან ყველა საკონტროლო მატჩში მათამაშა და რამდენჯერმე მაგრძნობინა, რომ კონტრაქტზე ხელმოწერამდე აღარაფერი რჩებოდა. ბოლოს ერთი საკონტროლო მატჩიღა იყო დარჩენილი და თამაშამდე ნახევარი საათით ადრე საოცარი რამ მოხდა, კიოსნერი მოვიდა და თარჯიმნის მეშვეობით მითხრა, რომ ხელშეკრულებას ვერ გამიფორმებდნენ და თავისუფალი ვიყავი. როგორც შემდეგ გავიგე, „სკონტოს", რომლის საკუთრებაც ვიყავი, ჩემს სანაცვლოდ საკმაოდ დიდი თანხა მოუთხოვია.

— „თბილისში" როგორღა აღმოჩნდი?

— ამ დროს გერმანიაში შეკრებაზე იმყოფებოდა „თბილისი". რომ გავიგე, გერმანიაში ქართული კლუბი ჩამოვიდა, მივედი და ვთხოვე, ფორმის შესანარჩუნებლად ვივარჯიშებ-მეთქი. გუნდის ხელმძღვანელობას მოვეწონე და ლატვიელებთან ყველა პრობლემაც მომიგვარეს. ახლა „თბილისის" საკუთრება ვარ.

— ლატვიაშიც გითამაშია და საქართველოშიც. შეადარე ჩვენი და მათი ჩემპიონატები...

— ვფიქრობ, დღესდღეობით საქართველოში უფრო მაღალი დონის ჩემპიონატია. ლატვიაში „სკონტო" მუდმივი ჩემპიონია, საქართველოში კი ახლა ოთხი თანაბარძალოვანი გუნდია. დაძაბულობამაც იმატა და ვთვლი, რომ საქართველოში დაბრუნებით არ შევმცდარვარ.

— შენი აზრით, რა არის „თბილისის" წარმატების საფუძველი?

— კლუბის ხელმძღვანელობა ისე გვიდგას მხარში, რომ მათი ასეთი დამოკიდებულების დაუნახაობა არ იქნება. მეორე მიზეზი გიორგი დევდარიანია. ჩემი აზრით, მისი სახით ჩვენს ქვეყანას ძლიერი სპეციალისტი ეყოლება, ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ დღეს იგი „თბილისის" მთავარი მწვრთნელია. გარდა ამისა, გუნდიც მეგობრულია, ძალიან შევიკარით. უნიჭიერესი ახალგაზრდებისა და გამოცდილი ფეხბურთელების საინტერესო სინთეზი გამოვიდა.

— „თბილისი" ახალგაზრდული გუნდია. პარტნიორთაგან ვის გამოარჩევ?

— მონდომებული ბიჭები არიან, თუმცა, გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძეს, ფიფიას, ელიავასა და ხოჯავას მაინც გამოვარჩევ. მათ თუ ასე გააგრძელეს, შორს წავლენ...

— აქამდე საყრდენი იყავი, ახლა კი მცველად გათამაშებენ...

— პროფესიონალი ფეხბურთელი ვალდებულია, სადაც გუნდის ინტერესები მოითხოვს, იქ ითამაშოს. ისე, მე, რა თქმა უნდა, წინ მირჩევნია თამაში.

— ქემოკლიძის მოსვლით დაცვა გაძლიერდა, არ შეიძლებოდა, მწვრთნელს წინ წაეწიე?

— მე და ქემოკლიძემ ერთმანეთს ისე გავუგეთ, რომ აღარ გვაშორებენ. ჩემთვის კი მთავარი ისაა, გუნდს გამოვადგე და ნებისმიერ პოზიციაზე ვითამაშებ.

— შენი თამაში ალენ ჟირესმაც ნახა და საქართველოს ნაკრების ექსპერიმენტულ შემადგენლობაში გიხმო...

— ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, ნაკრებს გინდა ექსპერიმენტული დაარქვან და გინდა პირველი. როდესაც საქმე საქართველოს ნაკრებს ეხება, ნებისმიერი ფეხბურთელი უდიდეს პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს. თანაც ამ შემადგენლობიდან რამდენიმე ფეხბურთელი ალბათ ნაკრების ძირითად შემადგენლობაშიც მოხვდება. არ დავმალავ, მათ შორის მეც მინდა ვიყო.

**— ნაკრების კანდიდატად ადრეც ითვლებოდი, ისეთი შეცდომა ხომ არ დაგიშვია, რასაც დღემდე ნანობ...**

— ყველაზე მეტად მაშინ შევცდი, ლატვიაში რომ წავედი. ჯერ ტრავმა მივიღე, მერე საქმეები არ ამეწყო და ზოგიერთმა, ფაქტობრივად, ჩამომწერა კიდეც, თუმცა ჯერ მხოლოდ 24 წლის ვარ. არადა, კახა ცხადაძისთვის რომ დამეჯერებინა... მაშინ ჩვენ „ლოკომოტივში" ერთად ვთამაშობდით. კახასთან რჩევისთვის მივედი. მითხრა, რა გინდა ლატვიაში, არასაფეხბურთო ქვეყანაში წასვლა ხეირს არ მოგიტანსო. არ დავუჯერე და... ცოტაც რომ მომეცადა, უკეთესი ვარიანტებიც იყო, მაგრამ ამაზე ლაპარაკს ახლა რა აზრი აქვს...

— ისევ „თბილისს" დავუბრუნდეთ. რამდენად რეალურია თქვენი გაჩემპიონება?

— თამაშის ხარისხით და სანახაობრივი თვალსაზრისით, ნურავის ეწყინება და, „თბილისი" საქართველოს ჩემპიონატის ყველა გუნდს აღემატება. ჩვენი მტერი გამოუცდელობა თუ იქნება და ის თუ შეგვიშლის ხელს მიზნის მიღწევაში. ეს რომ არა, ქულებს არც „დინამოსთან" დავკარგავდით და არც ბოლნისში „სიონთან".

— საგაისოდ ალბათ უფრო საფუძვლიანად იბრძოლებთ ჩემპიონობისთვის...

— ეს კლუბის ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული. ეს შემადგენლობა თუ შევინარჩუნეთ, მართლაც საჩემპიონოდ შეთამაშებული გუნდი გვეყოლება. თანაც ამით ეროვნული ჩემპიონატიც იხეირებს.

— დაძაბული კალენდრისა და ჩემპიონატის გამო ალბათ თავისუფალი დროც ცოტა გაქვს...

— თავისუფალი დრო მართლაც ცოტა მაქვს, მაგრამ როგორც გამოჩნდება, ვცდილობ, მეგობრებთან გავატარო. ძირითადად მყუდრო ბარებს ვსტუმრობთ, კინოთეატრშიც დავდივართ... ძალიან მიყვარს ძველი, ქალაქური მუსიკის მოსმენა. როდესაც „მაგრად დაჰკარით" ჟღერს, ტანში ჟრუანტელი მივლის. სხვათა შორის, ჩვენს თამაშებზე „ისნის" სტადიონზე ამ სიმღერას ხშირად ატრიალებენ — საბრძოლველად მართლაც დიდი მუხტია.

**დავით ერაძე**



გივი კვარაცხელიას (№7) წინ კი უნდა, მაგრამ უკან უწევს თამაში

# ლადო ბურდული გულის სიღრმეში უკვე მოედანზეა

*ლადო ბურდულის ტრავმა „დინამოსთვის" საგრძნობი დანაკლისი იყო: გუნდის ფლანგურ იერიშებს სიმწვავის გარდა იმპროვიზაციაც მოაკლდა. ივო შუშაკი ბურდულს ნელ-ნელა აჩვევს ჩვეულ დატვირთვებს, თუმცა სათუოა, ლადო სადღეისო პრინციპულ მატჩში „ლოკომოტივთან" ძირითადში ვიხილოთ. იგივეს ფიქრობს ფეხბურთელიც...*

— ვერ ვიტყვი, რომ ასი პროცენტით მზად ვარ, თუმცა გულის სიღრმეში მაინც ველი, რომ ძირითადში დამაყენებენ. თუ მენდობიან, თამაშს ისე ვარ დანატრებული, თავს არ შევირცხვენ. ყველაფერი მაინც შუშაკის გადასაწყვეტია და როგორც ის იტყვის, ისე იქნება.

**— სამთვიანი უქმობის შემდეგ არ გაგიჭირდება?**

— ორივე ტაიმის თამაში ნამდვილად გამიჭირდება. ჩვეულ ფორმაში არ ვარ, თანაც ამდენხნიანი უთამაშებლობა თავის კვალს, ცხადია, ტოვებს.

**— სისწრაფე ხომ არ დაგიკარგავს?**

— „დინამოს" ფიზმომზადების მწვრთნელი ავთო ბერიძე მეუბნება, რომ ამ მხრივ ნორმალურ მდგომარეობაში ვარ. ცხადია, სათამაშო პრაქტიკა მჭირდება. ნაკრებშიც ვითამაშებ, აფხაზეთის ნაკრებთანაც, მგონი, მომიწევს თამაში და მაქსიმუმ ორ კვირაში დაკარგულის აღდგენას შევძლებ. სანამ კიევში წავიდოდი, ალბათ კარიერაში საუკეთესო ფორმაში ვიყავი. გამძლეობითაც და სისწრაფითაც გამოვირჩეოდი.

**— ვარჯიშებზე თავს რას ატყობ?**

— მთავარია, ფეხმა გამიშვას. წონის პრობლემაც არ მაწუხებს. დიდი-დიდი, ჩემს ოპტიმალურ წონას ერთი კილოგრამით ვაჭარბებდე.

**— შენი დაბრუნება ლიდერობადაკარგულ „დინამოს" ძალიან წაადგება...**

— სკამზე დავჯექი თუ არა, მოიგეს, მოედანზე რომ გავალ, მაშინ რაღა მოხდება?! ეს ისე, ხუმრობით. ის კი მართლა მახარებს, რომ გუნდის დახმარებას მაშინ შევძლებ, როდესაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება. გორის „დილასთან" საპასუხო სათასო მატჩს, ალბათ, უკვე ძირითადში დავიწყებ.

**დავით ერაძე**



ლადო ბურდულს (№8) ერთი სული აქვს, ძველებურად ათამაშდეს

# დინამო დევნილებისთვის, ფეხბურთი აფხაზეთისთვის

**ტრადიციად** იქცა — ყოველ წელს აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის თაოსნობით აფხაზეთის ნაკრები იკრიბება და თამაშობს. თამაშობს საქართველოსთვის დაკარგული ულამაზესი კუთხის გახსენებისთვის, დაკარგულ მეგობართა ხსოვნისთვის, ქველმოქმედებისთვის...

ეს ტრადიცია გრძელდება. 28 აპრილს ეროვნულ სტადიონზე აფხაზეთის ნაკრები თბილისის „დინამოს" შეხვდება. აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, დევნილთა შორის ფეხბურთის განვითარების ხელშესაწყობად მატჩი საქველმოქმედო იქნება და ბილეთი ერთი ლარი ეღირება.

მატჩის გამართვაში ორგანიზატორებს თბილისის მერია, „დინამო", სააქციო საზოგადოება „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა", აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და ეროვნული სტადიონის დირექცია დაეხმარებიან.

აფხაზეთის ნაკრებში ყველაზე მეტი, 4 წარმომადგენელი ბოლნისურ „სიონს" ეყოლება. იური გაბისკირიას და თენგიზ სიჭინავას აქამდეც უთამაშიათ ნაკრების შემადგენლობაში, თენგიზ უგრეხელიძეს და კოტე დარსანიას კი დებიუტი ექნებათ.

აფხაზეთის ნაკრებში პირველლიგელთაგან მამუკა რუსია და ზურაბ გვაძაბია იქნებიან, რეგიონული ლიგიდან კი ცხუმელი ირაკლი თოლორდავა.

**პაატა ძვანტალიანი**

## ესპანეთი

| XXXIV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ესპანიოლი | — | ატლეტიკო |
| მალაგა | — | დეპორტივო |
| **ხვალ** | | |
| ბილბაო | — | ვალენსია |
| ბეტისი | — | სოსიედადი |
| სელტა | — | ოსასუნა |
| რასინგი | — | ალბასეტე |
| ვალიადოლიდი | — | მალიორკა |
| სარაგოსა | — | სევილია |
| ვილიარეალი | — | მურსია |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 33 | 21 | 7 | 5 | 65:23 | 70 |
| რეალი | 33 | 21 | 7 | 5 | 66:40 | 70 |
| ბარსელონა | 33 | 18 | 9 | 6 | 55:34 | 63 |
| დეპორტივო | 33 | 18 | 7 | 8 | 53:31 | 61 |
| ბილბაო | 33 | 14 | 9 | 10 | 46:40 | 51 |
| ოსასუნა | 33 | 11 | 15 | 7 | 36:30 | 48 |
| ატლეტიკო | 33 | 13 | 9 | 11 | 40:41 | 48 |
| მალაგა | 33 | 14 | 4 | 15 | 44:48 | 46 |
| სევილია | 33 | 12 | 9 | 12 | 45:38 | 45 |
| ვილიარეალი | 33 | 12 | 8 | 13 | 41:43 | 44 |
| ბეტისი | 33 | 10 | 13 | 10 | 40:37 | 43 |
| სოსიედადი | 33 | 10 | 10 | 13 | 39:45 | 40 |
| რასინგი | 33 | 10 | 9 | 14 | 44:56 | 39 |
| სარაგოსა | 33 | 10 | 8 | 15 | 36:46 | 38 |
| ვალიადოლიდი | 33 | 9 | 10 | 14 | 39:48 | 37 |
| ალბასეტე | 33 | 10 | 7 | 16 | 32:42 | 37 |
| მალიორკა | 33 | 10 | 6 | 17 | 40:59 | 36 |
| ესპანიოლი | 33 | 10 | 4 | 19 | 38:55 | 34 |
| სელტა | 33 | 7 | 12 | 14 | 42:59 | 33 |
| მურსია | 33 | 3 | 11 | 19 | 25:51 | 20 |

# მერე ყველაფერი აირია
## მადრიდში დალაგებულ ბარსელონას ელიან

**ელ კლასიკო**
**ხვალ. 22.30**

### რეალი

**სავარაუდო შემადგენლობა**

1 კასილიასი
2 სალგადო
33 მეხია
15 რაულ ბრავო
3 რ. კარლოსი
23 ბექემი
6 ელგერა
10 ფიგუ
5 ზიდანი
7 რაული
9 რონალდო

**სათადარიგონი**

25 სესარი
8 ბორხა
19 კამბიასო
14 გუტი
11 პორტილიო
21 სოლარი
34 ხუანფრანი






მწვრთნელი
კარლუშ კეიროში



მსაჯი:
ალფონსო პერეს ბურული



„სანტიაგო ბერნაბეუ"

### ბარსელონა

**სავარაუდო შემადგენლობა**

25 ვალდესი
2 რაიციგერი
5 პუიოლი
32 ოლეგერი
12 ბრონკჰორსტი
8 კოკუ
3 დავიდსი
6 ხავი
22 ლუის გარსია
10 რონალდინიო
7 სავიოლა

**სათადარიგონი**

1 რუშთუ
4 მარკესი
34 ინიესტა
20 კვარესმა
21 ლუის ენრიკე
11 ოვერმარსი
9 კლუივერტი






მწვრთნელი
ფრანკ რაიკარდი

„ელ კლასიკო" სეზონში სულ მცირე, ორჯერ იმართება და ფესვებს შორეულ წარსულში იღებს. „რეალის" და „ბარსელონას" ზოგი მატჩი გულშემატკივრის მახსოვრობას დღემდე შემორჩენია, ზოგიც კი მალევე მისცემია დავიწყებას.

მაგრამ ერთია, ყოველი „ელ კლასიკოს" წინ გულშემატკივრები ამტკიცებენ, რომ ეს „ელ კლასიკო" სრულიად უნიკალურია და რომ თავისი მნიშვნელობით ეს მატჩი გამოირჩევა სხვა „რეალი" — „ბარსელონისგან".

ჩვენც ასე მოვიქცეთ და ვთქვათ, რომ ხვალინდელ მატჩს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. და ეს არა უბრალოდ ვთქვათ, ახსნასაც შევეცადოთ.

სეზონის ნახევარი ისე მიილია, რომ „ბარსას" ინტერტოტოზე მოხვედრაც საეჭვოდ სჩანდა. ამავე დროს, ამავე სეზონის ნახევარი „რეალის" ჩემპიონობა თითქოს გადაწყვეტილი იყო.

მერე ყველაფერი აირია, „რეალი" თავქვე დაეშვა, „ბარსა" კი აღმართს მიუყვება და ეგებ, ის დღეც მალე დადგეს, ესენი, ოღონდ სხვადასხვა მიმართულებით მიმავალნი, ერთმანეთს რომ გაუსწორდნენ. დღეისთვის კი მათ შორის მანძილი შვიდი ქულაა.

ჰოდა, ესეც ხვალინდელი თამაშის განსაკუთრებულობა — „ბარსამ" თუ წააგო, მშვიდობით, საჩემპიონო ოცნებავ, მაგრამ თუ მოიგო...

*იკერ კასილიასის შეშინება იოლი საქმე რომ არაა, ჩვენზე კარგად მსოფლიოს საუკეთესო ფორვარდებმა უწყიან. „რეალის" მეკარეს არც „ბარსას" ვარსკვლავი რონალდინიო აშინებს, თუმც მისი ნიჭის დამფასებელი კია*

# შეშინება კასილიასი აღიარებს



— „ბარსელონა" ამ ბოლო ხანს დაუმარცხებელია, მეტოქისა ხომ არ გეშინიათ?

— არ მეშინია, მაგრამ ვაღიარებ, რომ კატალონიელები მართლაც დიდებულად თამაშობენ. პირველ წრეში „ბარსელონა" სხვა იყო, ახლა კი სულ სხვა გუნდია და „ბერნაბეუზე" იოლად ვერ გავიმარჯვებთ. „ბარსა" მადრიდში „რეალისთვის" ჩემპიონობის წასართმევად არ ჩამოდის, თუმც შეხვედრა რომ მაინც დაძაბული იქნება, ცხადია.

— არის თუ არა რონალდინიო „ელ გალაქტიკო", როგორც ამის თქმა მადრიდში სჩვევიათ?

— რონი დიდი ფეხბურთელია. კიდევ ერთხელ ნახეთ „მალაგასთან" შეხვედრაში რა ქნა და დარწმუნდებით, რომ ბრაზილიელი მართლაც იმსახურებს „ელ გალაქტიკოს" სახელს. რონალდინიო თავისი ტექნიკით ყველა დანარჩენისგან გამოირჩევა. აღტაცებული ვარ მისი თამაშით და მიმაჩნია, რომ ბრაზილიელი მისთვის პირველ ელ კლასიკოში „ბარსას" გასამარჯვებლად ყველაფერს გააკეთებს

— რონალდომ ტრავმა მოირჩინა. რაც ბუნებრივია, „რეალისთვის" კარგი ამბავია.

— რონალდო ჩვენთვის ძალიან საჭიროა და მოხარული ვიქნებით, „ბერნაბეუზე" სრულ საბრძოლო ფორმაში თუ ვნახავთ. რონალდინიოს მსგავსად, მასაც საკმარისი მოტივაცია აქვს დერბიში თავის გამოსაჩენად.

*ფრანკ რაიკარდს „ელ კლასიკოში" დამარცხების სიმწარე უკვე გამოცდილი აქვს — პრიმერადივიზიონის პირველ წრეში „ბარსელონა" „კამპ ნოუზე" 1:2 დამარცხდა, კატალონიელთა საშინაო წაგება მაშინ არავის გაკვირვებია, რადგან რაიკარდის გუნდი ჯერ კიდევ არეულ-დარეული იყო. დღეს კი სხვა ვითარებაა და ჰოლანდიელი მწვრთნელიც მადრიდს მოგების იმედით სტუმრობს*

# თქვენ იგრძნობთ განსხვავებას
## რაიკარდისთვის დავიდსი ოქროზე ძვირია

—საკვირაო დერბი ბარსელონურისგან ძალიან განსხვავებული იქნება?

— დიახ, საკმაოდ განსხვავებულ მატჩს უნდა ველოდოთ. „ბარსელონა" ამჟამად შესანიშნავად თამაშობს და ფეხბურთელებიც საკუთარ ძალებში უფრო დარწმუნებულნი არიან.

— საამსეზონო ლიგის ბედი ამ ტურშიც შეიძლება გადაწყდეს?

— არ გამოვრიცხავ. „ბერნაბეუზე" მოგების დიდი სურვილით გავალთ, რადგანაც ფეხბურთელებს სურთ, ტრიბუნაზე მყოფ და შინ დარჩენილ ქომაგებს ნაღდი, ლამაზი გამარჯვებით სიხარული მიანიჭონ. და რაც მთავარია, სამი ქულა სატურნირო ცხრილში დაწინაურებულ ლიდერებს დაგვაახლოვებს.

— რა მოგწონთ მადრიდის „რეალში"?

— არ შემიძლია იმ გუნდზე ვილაპარაკო, სადაც არასოდეს მიმუშავია. არ ვიცი, მადრიდელ ფეხბურთელთა შორის როგორი ურთიერთობაა, ამიტომ მე „რეალის" შემფასებლად ვერ გამოვდგები. ის კი შემიძლია ვთქვა, რომ „რეალში" მართლაც დიდი ფეხბურთელები თამაშობენ.

— მაშინ „ბარსელონაზე" შეგეკითხებით. ახლახან რივალდომ თქვა, რომ რონალდინიოს დერბის ბედის გადაწყვეტა შეუძლია. ეთანხმებით მის აზრს?

— წინასწარ ვერ გეტყვით, ვინ რას იზამს, მაგრამ რონალდინიო ბრწყინვალე სეზონს ატარებს და ალბათ, თავს „რეალთანაც" გამოიჩენს.

— ბრაზილიელი პრიმერადივიზიონის საუკეთესო ფეხბურთელად შეიძლება ჩაითვალოს?

— ვფიქრობ, რომ თავის პოზიციაზე რონი ყველაზე ძლიერია.

— ალბათ ოლეგერმაც სასიამოვნოდ გაგაკვირვათ...

— გეთანხმებით. ეს ბიჭი ყველაფერს სწრაფად ითვისებს და ბუნებრივიცაა, რომ მასზე დაკისრებულ სამუაშოსაც მშვენივრად გაართვა თავი. მე ოლეგერის მომავლისა მჯერა, იგი გონიერი და ძლიერი მოთამაშეა. ვფიქრობ, რომ მეორე სეზონშიც არ გაგვაწბილებს.

— გუნდის წაუგებელი სერია ედგარ დავიდსის „კამპ ნოუზე" მოსვლას დაემთხვა. ასე მნიშვნელოვანია მისი „ბარსელონაში" ყოფნა?



— ედგარმა ძალიან შეცვალა გუნდის თამაში. იგი ისეთ მოთამაშეთა რიცხვს მიეკუთვნება, ვინც ნებისმიერ გუნდს საჭირო წონასწორობას შესძენს. ეს კი თანამედროვე ფეხბურთში ოქროზე ძვირად ფასობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იტალია

პაპუნა კიდია

# ლაციო რომში დაიხარჯა

## მილანი უდინეში სკუდეტოსთვის მიდის

| XXXI ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ანკონა | — | კიევო |
| რომა | — | ემპოლი |
| ინტერი | — | ლაციო |
| იუვენტუსი | — | ლეჩე |
| უდინეზე | — | მილანი |
| რეჯინა | — | პარმა |
| ბრეშა | — | პერუჯა |
| მოდენა | — | სამპდორია |
| ბოლონია | — | სიენა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 30 | 23 | 6 | 1 | 59:20 | 75 |
| რომა | 30 | 20 | 7 | 3 | 64:15 | 67 |
| იუვენტუსი | 30 | 19 | 6 | 5 | 59:36 | 63 |
| ინტერი | 30 | 15 | 7 | 8 | 54:33 | 52 |
| ლაციო | 30 | 15 | 6 | 9 | 48:34 | 51 |
| პარმა | 30 | 14 | 9 | 7 | 49:40 | 51 |
| სამპდორია | 30 | 11 | 12 | 7 | 39:36 | 45 |
| უდინეზე | 30 | 12 | 9 | 9 | 37:34 | 45 |
| ბოლონია | 30 | 9 | 8 | 13 | 40:47 | 35 |
| კიევო | 30 | 8 | 10 | 12 | 29:35 | 34 |
| ბრეშა | 30 | 7 | 12 | 11 | 46:51 | 33 |
| სიენა | 30 | 7 | 10 | 13 | 36:46 | 31 |
| ლეჩე | 30 | 8 | 7 | 15 | 34:50 | 31 |
| რეჯინა | 30 | 5 | 14 | 11 | 24:40 | 29 |
| მოდენა | 30 | 5 | 12 | 13 | 24:39 | 27 |
| ემპოლი | 30 | 6 | 9 | 15 | 21:46 | 27 |
| პერუჯა | 30 | 3 | 13 | 14 | 38:54 | 22 |
| ანკონა | 30 | 1 | 7 | 22 | 18:63 | 10 |

**ყველაზე** დიდი ბრძოლა ამჯერად „სან სიროზეა“ მოსალოდნელი — „ინტერი“ „ლაციოს“ მასპინძლობს. ეს გუნდები მეოთხე ადგილზე გასვლას ანუ საშემოდგომოდ ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ ეტაპზე მოხვედრას ცდილობენ და ეჭვი არ არის, ერთმანეთს მოედანზე გოჯს არ დაუთმობენ. სხვა საქმეა, რომ ყველაფერს ძალ-ღონე სჭირდება, ხოლო შემორჩა თუ არა ეს ძალ-ღონე „ლაციოს“, ჩვენთვის ამწუთას უცნობია: ოთხშაბათს, „სტადიო ოლიმპიკოზე“ „ლაციოს“ ერთი თვის წინ ჩაშლილი დერბის გადათამაშება მოუხდა. ხოლო რას ნიშნავს „დერბი დელა კაპიტალე“ და რაოდენი ენერგიის ხარჯვას ითხოვს, ულაპარაკოდაც ცხადია.

პირველ წრეში „ლაციოსა“ და „ინტერის“ შეხვედრა რომაელთა გამარჯვებით 2:1 დასრულდა, ხოლო „სან სიროზე“ ბოლო ორი წელია, ეს გუნდები ქულებს იყოფენ.

„ლაციოს“ ტრავმის გამო არ ეყოლება სეზარი, ხოლო ითამაშებს თუ არა იაპ სტამი, უცნობია. „ინტერში“ დაშავებულია ალვარო რეკობა, კრისტიან ვიერის კი მწვრთნელთან, ალბერტო ძაკერონისთან აქვს ცნობილი პრობლემა, რომელიც ჯერ არ მოგვარებულა.

ანჯელო პერუცისთვის, ბერნარდო კორადისა და დეიან სტანკოვიჩისთვის ეს იქნება შეხვედრა ყოფილ გუნდებთან.

მეოთხე ადგილის კიდევ ერთი კანდიდატი, „პარმა“ რეჯო კალაბრიაში თამაშობს. თუ გახსოვთ, წინა ტურში პარმელები ტურინში „იუვენტუსს“ შეხვდნენ და ბოლო წამს იგორ ტუდორის დარტყმული რომ არ გაეშვათ, სამ ქულას მიითვლიდნენ. ეს რომ ასე მომხდარიყო, დღეს ცხრილში სხვა ვითარება იქნებოდა, ხოლო „რეჯინას“ ძლევას უფრო მეტი ეშხი ექნებოდა, თუმცა ეშხის ნაკლებობას „პარმა“ არც დღეს უნდა უჩიოდეს. ბუნებრივია, „პარმას“ მთავარი ძალა, ახალგაზრდა ალბერტო ჯილარდინოა, თუმცა ბენიტო კარბონე და მარკო მარკონიც ბრწყინვალე ფორმაში არიან.

ხოლო ახლა, როდესაც მეოთხე ადგილისთვის მებრძოლთა ამბები მიმოვიხილეთ, შეგვიძლია ლიდერზეც გადავიდეთ. „მილანი“ უდინეში ჩადის, რათა ჩემპიონობასთან უკიდურესად მიახლოებისთვის დაამარცხოს ეს ერთადერთი გუნდი, რომელმაც ამ სეზონში მას გაუბედა დამარცხება, თან მილანში, „სან სიროზე“. მოსალოდნელია, რომ კარლო ანჩელოტი 4-3-2-1 განლაგებას აირჩევს. ეს იონ დალ ტომასონისა და ფილიპო ინძაგის ტრავმებით არის განპირობებული. შესაძლოა, არ ითამაშოს ჯუზეპე პანკარომაც, ხოლო კლარენს ზეედორფის მაგივრად არ არის გამორიცხული მასიმო ამბროზინი გამოჩნდეს.

„მილანის“ მდევარი „რომა“, რომელიც ზემოხსენებულ დერბიში „ლაციოსთან“ დამარცხებას გადარჩა, მართალია, „ლაციოსავით“ დაღლილია, მაგრამ იმითაა უკეთეს დღეში, რომ „ინტერს“ კი არა, „ემპოლის“ ეთამაშება. მატჩი ნეიტრალურ პალერმოში გაიმართება — ნუღარ მოგვაყოლებთ თავიდან დერბის თავდაპირველი ჩაშლის ისტორიას. რომაელებს უბრუნდებიან დისკვალიფიცირებული ემერსონი და ოლივიე დაკური, ხოლო „ემპოლის“ გეგონება ის არ ეყოფოდა, რომ „ემპოლია“, დაშავებული ჰყავს კაპელინი და კრიბარი, ხოლო გრელას ერთი თამაშის გამოტოვება დისკვალიფიკაციის გამო მართებს.

მესამე ადგილზე მოკალათებული „იუვენტუსი“ „დელე ალპიზე“ „ლეჩეს“ მასპინძლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ოდესღაც უძლეველი, დღეს კი დაბერებული ტურინული დაცვა ურუგვაელი ხავიერ ერნესტო ჩევანტონის პირისპირ შერჩება.

„ბებერ ქალბატონს“ ალბათ არ ეყოლება მუხლმტკივანი ალესიო ტაკინარდი, თუმცა ორთვიანი მკურნალობის შემდეგ წესით ალესანდრო დელ პიერო უნდა ვიხილოთ, შეცვლაზე მაინც.

სხვათა შორის, დაბადებით ლეჩელია „იუვეს“ თავდამსხმელი ფაბრიციო მიკოლი.



პირველ წრეში რომაელმა ბერნარდო კორადიმ ინტერელი მცველები დაჯაბნა

| XXX ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| გლადბახი | — | ვოლფსბურგი |
| ჰერტა | — | ლაუტერნი |
| აინტრახტი | — | ფრაიბურგი |
| ჰანოვერი | — | შტუტგარტი |
| ჰამბურგი | — | კიოლნი |
| ლევერკუზენი | — | დორტმუნდი |
| ჰანზა | — | შალკე |
| ხვალ | | |
| ბოხუმი | — | ვერდერი |
| ბაიერნი | — | მიუნხენი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერდერი | 29 | 20 | 7 | 2 | 67:28 | 67 |
| ბაიერნი | 29 | 17 | 8 | 4 | 63:32 | 59 |
| შტუტგარტი | 29 | 16 | 9 | 4 | 46:18 | 57 |
| ლევერკუზენი | 29 | 15 | 7 | 7 | 59:36 | 52 |
| ბოხუმი | 29 | 13 | 9 | 7 | 48:34 | 48 |
| დორტმუნდი | 29 | 14 | 6 | 9 | 49:36 | 48 |
| შალკე | 29 | 11 | 10 | 8 | 40:35 | 43 |
| ჰამბურგი | 29 | 11 | 6 | 12 | 39:50 | 39 |
| 16.00 | 436 | სატურნი-როსტოვი | 1,5 | 3,5 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,27 |
| 16.00 | 437 | შინიკი-კრილია | 2,15 | 3,0 | 3,2 | 1,25 | 1,28 | 1,54 |
| 16.00 | 438 | ტორპედო-ზენიტი | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| | | **ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა. XXVII ტური** | | | | | | |
| | | **24 აპრილი** | | | | | | |
| 17.25 | 452 | სლავია-სიგმა | 1,7 | 3,2 | 4,6 | 1,11 | 1,24 | 1,88 |
| 23.00 | 453 | ზლინი-იაბლონეცი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| | | **25 აპრილი** | | | | | | |
| 13.15 | 454 | ჟიჟკოვი-ბუდეიოვიცე | 1,4 | 3,4 | 4,6 | 1 | 1,07 | 1,95 |
| 20.00 | 455 | ბრნო-სპარტა | 4,8 | 3,5 | 1,6 | 2,02 | 1,2 | 1,09 |
| 20.00 | 456 | პლზენი-ოპავა | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,26 | 1,25 | 1,57 |
| 20.00 | 457 | ბლშანი-პრჟიბრამი | 1,55 | 3,3 | 4,0 | 1,05 | 1,11 | 1,8 |
| | | **26 აპრილი** | | | | | | |
| 19.40 | 458 | ლიბერეცი-სინოტი | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| | | **სლოვაკეთი. I ლიგა. XXVII ტური** | | | | | | |
| | | **24 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 461 | პუხოვი-ბ.ბისტრიცა | 2,7 | 3,0 | 2,4 | 1,42 | 1,27 | 1,33 |
| 19.00 | 462 | რუჟომბეროკი-პეტრჟალკა | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 19.00 | 463 | ინტერი-სლოვანი | 2,3 | 3,0 | 2,7 | 1,3 | 1,24 | 1,42 |
| 21.00 | 464 | ტრენჩინი-ტრნავა | 2,35 | 3,0 | 2,7 | 1,31 | 1,25 | 1,42 |
| 23.00 | 465 | ჟილინა-დუბნიცა | 1,6 | 3,4 | 4,8 | 1,08 | 1,2 | 1,99 |
| | | **პოლონეთი. I ლიგა. XX ტური** | | | | | | |
| | | **24 აპრილი** | | | | | | |
| 21.15 | 498 | პლოცკი-ამიკა | 2,45 | 3,0 | 2,6 | 1,34 | 1,26 | 1,39 |
| 22.00 | 499 | კატოვიცე-ლეხი | 2,4 | 2,9 | 2,7 | 1,3 | [illegible] | 1,39 |
| 22.00 | 500 | ოდრა-პოლონია | 1,7 | 3,1 | 4,2 | 1,09 | 1,21 | 1,78 |
| 22.00 | 501 | სვიტი-ლეჩნა | 1,6 | 3,3 | 4,2 | 1,07 | 1,15 | 1,84 |
| 22.00 | 502 | ვიძევი-პოლკოვიცე | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| | | **25 აპრილი** | | | | | | |
| 20.15 | 503 | ლეგია-გურნიკი | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| | | **ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი (ჩეხეთი)** | | | | | | |
| | | **24 აპრილი** | | | | | | |
| 15.15 | 1004 | სლოვაკეთი-უკრაინა | 1.12 | 7,0 | 9.0 | 1 | 1 | 3.93 |
| 15.15 | 1005 | საფრანგეთი-ავსტრია | 3,0 | 4,4 | 1,75 | 1,78 | 1,1 | 1,25 |
| 19.15 | 1006 | ლატვია-ჩეხეთი | 10,0 | 8,0 | 1,08 | 4,44 | 1 | 1 |
| 19.15 | 1007 | დანია-შვედეთი | 10,0 | 8,0 | 1,08 | 4,44 | 1 | 1 |
| 23.15 | 1008 | ფინეთი-აშშ | 1,65 | 4,4 | 3,4 | 1,2 | 1,11 | 1,91 |
| 23.15 | 1009 | გერმანია-ყაზახეთი | 1,4 | 5,0 | 4,4 | 1,09 | 1,06 | 2,34 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაბრუნებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5407 | ევერტონი-ბლექბერნი | 1,8 | 2,0 |
| 5408 | ფულემი-ჩარლტონი | 1,85 | 1,95 |
| 5409 | ლესტერი-სიტი | 1,9 | 1,9 |
| 5410 | მანჩესტერი-ლივერპული | 1,55 | 2,5 |
| 5411 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 1,85 | 1,95 |
| 5412 | საუთჰემპტონი-ბოლტონი | 1,7 | 2,2 |
| 5413 | ლიდსი-პორტსმუთი | 1,75 | 2,1 |
| 5414 | ბირმინგემი-ვულვერჰემპტონი | 1,4 | 2,8 |
| 5415 | ნიუკასლი-ჩელსი | 1,85 | 1,95 |
| 5416 | ტოტენჰემი-არსენალი | 2,4 | 1,6 |
| 5417 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 2,0 | 1,8 |
| 5418 | ჰამბურგი-კიოლნი | 1,3 | 3,2 |
| 5419 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 1,8 | 2,0 |
| 5420 | მიონხენგლადბახი-ვოლფსბურგი | 1,7 | 2,2 |
| 5421 | ჰერტა-კაიზერსლაუტერნი | 1,65 | 2,3 |
| 5422 | აინტრახტი-ფრაიბურგი | 1,75 | 2,1 |
| 5423 | ჰანზა-შალკე | 1,9 | 1,9 |
| 5424 | ბოხუმი-ვერდერი | 2,0 | 1,8 |
| 5425 | ბაიერნი-მიუნხენი | 1,3 | 3,4 |
| 5429 | ინტერი-ლაციო | 1,75 | 2,1 |
| 5430 | იუვენტუსი-ლეჩე | 1,25 | 3,7 |
| 5433 | რომა-ემპოლი | 1,3 | 3,4 |
| 5435 | ესპანიოლი-ატლეტიკო | 1,8 | 2,0 |
| 5436 | მალაგა-დეპორტივო | 1,9 | 1,9 |
| 5437 | რასინგი-ალბასეტე | 1,7 | 2,2 |
| 5438 | სელტა-ოსასუნა | 1,7 | 2,2 |
| 5439 | ვალიადოლიდი-მალიორკა | 1,75 | 2,1 |
| 5441 | ბეტისი-სოსიედადი | 1,8 | 2,0 |
| 5442 | სარაგოსა-სევილია | 1,8 | 2,0 |
| 5443 | რეალი-ბარსელონა | 1,7 | 2,2 |
| 5444 | ბილბაო-ვალენსია | 2,1 | 1,75 |

# ფორმულა 1. სან მარინო. 25 აპრილი

| 8001 გამარჯვებული | | სამეული | | ექვსეული | | 8002 უსწრ. წრე |
|---|---|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი | 1,5 | 8101 | 1,1 | 8201 | 1,05 | 1,7 |
| მონტოია | 5,0 | 8102 | 1,6 | 8202 | 1,2 | 3,3 |
| რ.შუმახერი | 8,0 | 8103 | 2,1 | 8203 | 1,25 | 5,0 |
| რაიკონენი | 12,0 | 8104 | 2,3 | 8204 | 1,3 | 8,0 |
| ბარიკელო | 5,0 | 8105 | 1,9 | 8205 | 1,2 | 3,0 |
| ალონსო | 12,0 | 8106 | 2,3 | 8206 | 1,3 | 8,0 |
| კულტჰარდი | 25,0 | 8107 | 3,8 | 8207 | 1,5 | 12,0 |
| ტრული | 25,0 | 8108 | 4,2 | 8208 | 1,5 | 15,0 |
| ბატონი | 15,0 | 8109 | 3,5 | 8209 | 1,5 | 10,0 |
| სატო | 50,0 | 8110 | 10,0 | 8210 | 2,0 | 35,0 |
| პანისი | 100,0 | 8111 | 20,0 | 8211 | 3,0 | 75,0 |
| უებერი | 75,0 | 8112 | 15,0 | 8212 | 2,0 | 50,0 |
| და მატა | 150,0 | 8113 | 30,0 | 8213 | 5,0 | 75,0 |
| ფიზიკელა | 150,0 | 8114 | 30,0 | 8214 | 5,0 | 75,0 |
| ჰაიდფელდი | 150,0 | 8115 | 30,0 | 8215 | 5,0 | 75,0 |
| მასა | 150,0 | 8116 | 30,0 | 8216 | 5,0 | 75,0 |
| კლიენი | 150,0 | 8117 | 30,0 | 8217 | 5,0 | 100,0 |
| პანტანო | 250,0 | 8118 | 50,0 | 8218 | 6,0 | 100,0 |
| ბრუნი | 300,0 | 8119 | 75,0 | 8219 | 10,0 | 100,0 |
| ბაუმგარტნერი | 300,0 | 8120 | 75,0 | 8220 | 10,0 | 100,0 |

| 8301 გამარჯვებული გუნდი | |
|---|---|
| ფერარი | 1,15 |
| უილიამსი | 3,0 |
| მაკლარენი | 8,1 |
| რენო | 8,1 |
| ბარ | 11,5 |
| ტოიოტა | 60,0 |
| იაგუარი | 50,0 |
| ზაუბერი | 75,0 |
| ჯორდანი | 93,0 |
| მინარდი | 150,0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5507 | ევერტონი-ბლექბერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5508 | ფულემი-ჩარლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5509 | ლესტერი-სიტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5510 | მანჩესტერი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5511 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5512 | საუთჰემპტონი-ბოლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5513 | ლიდსი-პორტსმუთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5514 | ბირმინგემი-ვულვერჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | ნიუკასლი-ჩელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | ტოტენჰემი-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5517 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5518 | ჰამბურგი-კიოლნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5519 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5520 | მიონხენგლადბახი-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5521 | ჰერტა-კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5522 | აინტრახტი-ფრაიბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5523 | ჰანზა-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5524 | ბოხუმი-ვერდერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5525 | ბაიერნი-მიუნხენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5529 | ინტერი-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5530 | იუვენტუსი-ლეჩე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5533 | რომა-ემპოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5534 | უდინეზე-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5535 | ესპანიოლი-ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5536 | მალაგა-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5537 | რასინგი-ალბასეტე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5538 | სელტა-ოსასუნა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5539 | ვალიადოლიდი-მალიორკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5541 | ბეტისი-სოსიედადი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5542 | სარაგოსა-სევილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5543 | რეალი-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5544 | ბილბაო-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5007 | ევერტონი-ბლექბერნი | 2,6 | 2,05 | 3,8 | 1,14 | 1,54 | 1,33 |
| 5008 | ფულემი-ჩარლტონი | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| 5009 | ლესტერი-სიტი | 3,0 | 2,05 | 3,3 | 1,21 | 1,57 | 1,26 |
| 5010 | მანჩესტერი-ლივერპული | 2,2 | 2,1 | 5,0 | 1,07 | 1,52 | 1,47 |
| 5011 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| 5012 | საუთჰემპტონი-ბოლტონი | 2,4 | 2,05 | 4,4 | 1,1 | 1,55 | 1,39 |
| 5013 | ლიდსი-პორტსმუთი | 2,4 | 2,05 | 4,4 | 1,1 | 1,55 | 1,39 |
| 5014 | ბირმინგემი-ვულვერჰემპტონი | 1,85 | 2,2 | 5,6 | 1 | 1,39 | 1,57 |
| 5015 | ნიუკასლი-ჩელსი | 3,0 | 2,05 | 3,3 | 1,21 | 1,57 | 1,26 |
| 5016 | ტოტენჰემი-არსენალი | 5,0 | 2,1 | 2,2 | 1,47 | 1,52 | 1,07 |
| 5017 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 3,5 | 2,05 | 2,8 | 1,29 | 1,55 | 1,18 |
| 5018 | ჰამბურგი-კიოლნი | 1,7 | 2,2 | 6,5 | 1 | 1,34 | 1,64 |
| 5019 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 2,5 | 2,05 | 4,0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| 5020 | მიონხენგლადბახი-ვოლფსბურგი | 2,4 | 2,05 | 4,4 | 1,1 | 1,55 | 1,39 |
| 5021 | ჰერტა-კაიზერსლაუტერნი | 2,3 | 2,05 | 4,8 | 1,08 | 1,55 | 1,43 |
| 5022 | აინტრახტი-ფრაიბურგი | 2,45 | 2,05 | 4,2 | 1,11 | 1,54 | 1,37 |
| 5023 | ჰანზა-შალკე | 3,2 | 2,05 | 3,1 | 1,24 | 1,57 | 1,23 |
| 5024 | ბოხუმი-ვერდერი | 3,5 | 2,05 | 2,8 | 1,29 | 1,55 | 1,18 |
| 5025 | ბაიერნი-მიუნხენი | 1,55 | 2,7 | 7,5 | 1 | 1,28 | 1,98 |
| 5029 | ინტერი-ლაციო | 2,5 | 2,0 | 4,2 | 1,11 | 1,56 | 1,35 |
| 5030 | იუვენტუსი-ლეჩე | 1,5 | 3,0 | 7,0 | 1 | 1,23 | 2,09 |
| 5031 | მოდენა-სამპდორია | 3,0 | 1,7 | 3,8 | 1,08 | 1,67 | 1,17 |
| 5032 | რეჯინა-პარმა | 3,3 | 1,8 | 3,5 | 1,16 | 1,69 | 1,18 |
| 5033 | რომა-ემპოლი | 1,65 | 2,4 | 6,0 | 1 | 1,29 | 1,71 |
| 5034 | უდინეზე-მილანი | 4,6 | 1,8 | 2,5 | 1,29 | 1,61 | 1,04 |
| 5035 | ესპანიოლი-ატლეტიკო | 2,5 | 2,05 | 3,8 | 1,12 | 1,5 | 1,33 |
| 5036 | მალაგა-დეპორტივო | 3,1 | 2,05 | 3,2 | 1,23 | 1,57 | 1,24 |
| 5037 | რასინგი-ალბასეტე | 2,45 | 2,05 | 4,2 | 1,11 | 1,54 | 1,37 |
| 5038 | სელტა-ოსასუნა | 2,35 | 2,05 | 4,4 | 1,09 | 1,53 | 1,39 |
| 5039 | ვალიადოლიდი-მალიორკა | 2,5 | 2,05 | 4,0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| 5041 | ბეტისი-სოსიედადი | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |
| 5042 | სარაგოსა-სევილია | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |
| 5043 | რეალი-ბარსელონა | 2,3 | 2,05 | 4,6 | 1,08 | 1,53 | 1,41 |
| 5044 | ბილბაო-ვალენსია | 3,8 | 2,05 | 2,6 | 1,33 | 1,54 | 1,14 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | |
|---|---|---|---|
| 5207 | ევერტონი-ბლექბერნი | 1,8 | 1,8 |
| 5208 | ფულემი-ჩარლტონი | 1,7 | 1,9 |
| 5209 | ლესტერი-სიტი | 1,75 | 1,85 |
| 5210 | მანჩესტერი-ლივერპული | 1,85 | 1,75 |
| 5211 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 1,8 | 1,8 |
| 5212 | საუთჰემპტონი-ბოლტონი | 1,65 | 1,95 |
| 5213 | ლიდსი-პორტსმუთი | 1,85 | 1,75 |
| 5214 | ბირმინგემი-ვულვერჰემპტონი | 1,85 | 1,75 |
| 5215 | ნიუკასლი-ჩელსი | 1,85 | 1,75 |
| 5216 | ტოტენჰემი-არსენალი | 1,85 | 1,75 |
| 5217 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 1,9 | 1,7 |
| 5218 | ჰამბურგი-კიოლნი | 1,95 | 1,65 |
| 5219 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 2,0 | 1,6 |
| 5220 | მიონხენგლადბახი-ვოლფსბურგი | 1,9 | 1,7 |
| 5221 | ჰერტა-კაიზერსლაუტერნი | 1,9 | 1,7 |
| 5222 | აინტრახტი-ფრაიბურგი | 1,9 | 1,7 |
| 5223 | ჰანზა-შალკე | 1,9 | 1,7 |
| 5224 | ბოხუმი-ვერდერი | 1,95 | 1,65 |
| 5225 | ბაიერნი-მიუნხენი | 2,2 | 1,5 |
| 5229 | ინტერი-ლაციო | 1,85 | 1,75 |
| 5230 | იუვენტუსი-ლეჩე | 2,0 | 1,6 |
| 5231 | მოდენა-სამპდორია | 1,6 | 2,0 |
| 5232 | რეჯინა-პარმა | 1,75 | 1,85 |
| 5233 | რომა-ემპოლი | 1,95 | 1,65 |
| 5234 | უდინეზე-მილანი | 1,75 | 1,85 |
| 5235 | ესპანიოლი-ატლეტიკო | 1,8 | 1,8 |
| 5236 | მალაგა-დეპორტივო | 1,85 | 1,75 |
| 5237 | რასინგი-ალბასეტე | 1,8 | 1,8 |
| 5238 | სელტა-ოსასუნა | 1,7 | 1,9 |
| 5239 | ვალიადოლიდი-მალიორკა | 1,75 | 1,85 |
| 5241 | ბეტისი-სოსიედადი | 1,7 | 1,9 |
| 5242 | სარაგოსა-სევილია | 1,7 | 1,9 |
| 5243 | რეალი-ბარსელონა | 1,95 | 1,65 |
| 5244 | ბილბაო-ვალენსია | 1,8 | 1,8 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5307 | ევერტონი-ბლექბერნი | 1,7 | 1,9 |
| 5308 | ფულემი-ჩარლტონი | 1,7 | 1,9 |
| 5309 | ლესტერი-სიტი | 1,7 | 1,9 |
| 5310 | მანჩესტერი-ლივერპული | 1,7 | 1,9 |
| 5311 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 1,7 | 1,9 |
| 5312 | საუთჰემპტონი-ბოლტონი | 1,75 | 1,85 |
| 5313 | ლიდსი-პორტსმუთი | 1,7 | 1,9 |
| 5314 | ბირმინგემი-ვულვერჰემპტონი | 1,75 | 1,85 |
| 5315 | ნიუკასლი-ჩელსი | 1,65 | 1,95 |
| 5316 | ტოტენჰემი-არსენალი | 1,65 | 1,95 |
| 5317 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 1,65 | 1,95 |
| 5318 | ჰამბურგი-კიოლნი | 1,65 | 1,95 |
| 5319 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 1,6 | 2,0 |
| 5320 | მიონხენგლადბახი-ვოლფსბურგი | 1,65 | 1,95 |
| 5321 | ჰერტა-კაიზერსლაუტერნი | 1,65 | 1,95 |
| 5322 | აინტრახტი-ფრაიბურგი | 1,65 | 1,95 |
| 5323 | ჰანზა-შალკე | 1,65 | 1,95 |
| 5324 | ბოხუმი-ვერდერი | 1,6 | 2,0 |
| 5325 | ბაიერნი-მიუნხენი | 1,65 | 1,95 |
| 5329 | ინტერი-ლაციო | 1,65 | 1,95 |
| 5330 | იუვენტუსი-ლეჩე | 1,7 | 1,9 |
| 5331 | მოდენა-სამპდორია | 1,65 | 1,95 |
| 5332 | რეჯინა-პარმა | 1,65 | 1,95 |
| 5333 | რომა-ემპოლი | 1,7 | 1,9 |
| 5334 | უდინეზე-მილანი | 1,65 | 1,95 |
| 5335 | ესპანიოლი-ატლეტიკო | 1,6 | 2,0 |
| 5336 | მალაგა-დეპორტივო | 1,6 | 2,0 |
| 5337 | რასინგი-ალბასეტე | 1,6 | 2,0 |
| 5338 | სელტა-ოსასუნა | 1,65 | 1,95 |
| 5339 | ვალიადოლიდი-მალიორკა | 1,6 | 2,0 |
| 5341 | ბეტისი-სოსიედადი | 1,65 | 1,95 |
| 5342 | სარაგოსა-სევილია | 1,65 | 1,95 |
| 5343 | რეალი-ბარსელონა | 1,6 | 2,0 |
| 5344 | ბილბაო-ვალენსია | 1,6 | 2,0 |

| 1-ლი | ტაიმი/ძირითადი დრო | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | ·2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5107 | ევერტონი-ბლექბერნი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5108 | ფულემი-ჩარლტონი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5109 | ლესტერი-სიტი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5110 | მანჩესტერი-ლივერპული | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5111 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5112 | საუთჰემპტონი-ბოლტონი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5113 | ლიდსი-პორტსმუთი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5114 | ბირმინგემი-ვულვერჰემპტონი | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5115 | ნიუკასლი-ჩელსი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5116 | ტოტენჰემი-არსენალი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 5117 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5118 | ჰამბურგი-კიოლნი | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5119 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5120 | მიონხენგლადბახი-ვოლფსბურგი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5121 | ჰერტა-კაიზერსლაუტერნი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5122 | აინტრახტი-ფრაიბურგი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4, | 45,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5123 | ჰანზა-შალკე | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5124 | ბოხუმი-ვერდერი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5125 | ბაიერნი-მიუნხენი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,0 | 15,0 | 20,0 | 14,0 | 14,0 |
| 5129 | ინტერი-ლაციო | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,0 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5130 | იუვენტუსი-ლეჩე | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,6 | 15,0 | 25,0 | 15,0 | 15,0 |
| 5133 | რომა-ემპოლი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,3 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5135 | ესპანიოლი-ატლეტიკო | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5136 | მალაგა-დეპორტივო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5137 | რასინგი-ალბასეტე | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4, | 46,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5138 | სელტა-ოსასუნა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5139 | ვალიადოლიდი-მალიორკა | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5141 | ბეტისი-სოსიედადი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5142 | სარაგოსა-სევილია | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5143 | რეალი-ბარსელონა | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5144 | ბილბაო-ვალენსია | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,3 |

# F1

**მეოთხე ეტაპი. სან მარინოს დიდი პრიზი**

**ენცო და დინო ფერარების ტრასა**

*იმოლა, 25 აპრილი*



**ტრასის სიგრძე** ---------------- **4.933 კმ**
**რბოლის დისტანცია** ---------------- **62 წრე — 305.609 კმ**

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 17 საათზე*

**შარშან:** 1 მ.შუმახერი (ფერარი); 2 რაიკონენი (მაკლარენი); 3 ბარიკელო (ფერარი); 4 რ.შუმახერი (უილიამსი); 5 კულჰარდი (მაკლარენი); 6 ალონსო (რენო); 7 მონტოია (უილიამსი); 8 ბატონი (**B.A.R**)

**წრის რეკორდი:** 2003 — მ.შუმახერი (ფერარი) 1:22.491 (215,3კმ/სთ)

# იმოლას ემუქრებიან
## ბატონმა მეფეს გაასწრო

**ბოლონიიდან** 30-ოდე კილომეტრით დაშორებულ „კომენდატორე“ ენცო ფერარისა და მისი ვაჟის დინოს სახელობის იმოლას ავტოდრომზე ხვალ 24-ედ გათამაშდება ციცქნა სან მარინოს დიდი პრიზი.

ეს იტალიის ტერიტორიაზე მეორე საფორმულო ეტაპია, თანაც მარანელოში „ფერარის“ ქარხნამდე ორ ნაბიჯზე. ამიტომაც ბუზღუნებენ სკუდერიელთა მეტოქეები, ეს მათ დამატებით უპირატესობას აძლევსო. „იმოლაზე“ ხვალინდელი რბოლა იქნებ უკანასკნელიც გამოდგეს — არც საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ბერნი ეკლსტოუნს მოსდის თვალში ორი იტალიური ეტაპი, რადგან რიგში არაერთი ქვეყანაა, უპირველესად კი თურქეთი, რომელიც უკვე გაისად უმასპინძლებს „სამეფო რბოლებს“. თანაც ეკლსტოუნი იმოლელებს ტრასის ინფრასტრუქტურას უწუნებს, თანამედროვე მოთხოვნებს აღარ შეეფერება და თუ არ გააუმჯობესებთ, კალენდრიდან ამოგშლითო.

ერთი სიტყვით, თუ ორგანიზატორები ხვალ თავს შეირცხვენენ და სამოდერნიზაციო 25-მილიონ ევროსაც ვერ გამოძებნიან, 2005 წლიდან ჯუჯელების დიდი პრიზი აღარ გათამაშდება. საშუალო სიგრძის, ხუთკილომეტრიანი ტრეკი ბოლოს ძირეულად გადაკეთდა და საგრძნობლად დანელდა ათი წლის წინანდელი კოშმარის შემდეგ, როცა კვალიფიკაციისას ავსტრიელი ახალბედა როლანდ რაცენბერგერი დაიღუპა, ხოლო მეორე დღეს რბოლაში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი აირტონ სენა.

„იმოლა“ რთული, ტექნიკისადმი მეტად მომთხოვნი ტრასაა. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მანქანის აეროდინამიკას და ძრავის სიმძლავრეს. არც ისე ფართო, ჩახვეულ გზაზე გასწრება ძნელი საქმეა. ამასთან, ეს ევროპაში ერთადერთი ტრეკია, სადაც რბოლა საათის ისრის საწინააღმდეგოდ მიმდინარეობს, რაც პილოტებს დამატებით სირთულეებს უქმნის.

სინოპტიკოსებმა იმოლაში სიგრილე და ხვალ წვიმაც კი ივარაუდეს. ასე რომ, სკუდერიელთა „მიშლენის“ საბურავებიან „მტრებს“ წარმატების იმედი მიეცათ.

გუშინ, პირველი ვარჯიშისას, ყველაზე სწრაფი მიხაელ შუმახერის ბედაური იყო. სან მარინოს ხუთგზის გამარჯვებულმა თავისივე შარშანდელი რეკორდი წამით გააუმჯობესა. თანაფერარელი რუბენს ბარიკელო მას თითქმის წამნახევრით ჩამორჩა, მესამე დრო რალფს ჰქონდა — ძმაზე 2,2 წამით უარესი.

ორსაათიანი შესვენების შემდეგ ვითარება შეიცვალა. წრე უსწრაფესად გაიქროლეს „მიშლენის“ ბარელმა კლიენტებმა. ჯენსონ ბატონმა მიხაელ შუმახერს 0,2 წამით აჯობა, ჩემპიონზე ოდნავ უკეთესი შედეგი აჩვენა ტაკუმა სატომაც. მეოთხე იყო მაკლარენიანი კიმი რაიკონენი, შემდეგ იარნო ტრული (რენო), „ბარის“ სათადარიგო მძღოლი ენტონი დევიდსონი, ხუან-პაბლო მონტოია (უილიამსი), ფერნანდო ალონსო (რენო), დევიდ კულჰარდი (მაკლარენი), რალფ შუმახერი (უილიამსი), რუბენს ბარიკელო (ფერარი)...



REUTERS

ჯენსონ ბატონი თავისი სიმკვირცხლით გაკვირვებულია



**საქართველოს ჩემპიონატი. პლეი ოფი**

**პირველი წრე. ორ მოგებამდე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსთაველმა დაამთავრა?



რუსთაველმა ირაკლი ჯაფარიძემ „რუსთავს“ 15 ქულა ჩაუგდო



ზაზა გაბისონია ისევ დაიმტვრა

**რუსთავი 0:1 სტუ**

23 აპრილი. რუსთავი

**რუსთავი 80:95 სტუ**

15:28 17:22 20:20 28:25

**რუსთავი:** გაბისონია (11), არწივიძე (11), ჩაჩუა (9), ტყეშელაშვილი (18), დანელიანი (13); ბერუაშვილი (9), ჭოჭუა (7), ცეკვავა (2)

**სტუ:** ნიკოლაძე (6), ხეცურიანი (13), დავითულიანი (13), ბაბიაშვილი (20), ჯაფარიძე (15); შანიძე (6), მარკოიშვილი (6), ოგანესიანი (6), გაგნიძე (2), მიქაძე (2), ახალკაცი (4), ქისტაური (2)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

ვერ გამოდგა „რუსთავი“ ის გუნდი, პლეი ოფის პირველ წრეს ინტრიგას რომ შეუნარჩუნებდა. ქვემოქართლელებმა გუშინ მთლად უიმედოდ წააგეს „სტუ-ჯეოსელთან“ და დიდი შანსია, სხვა აუტსაიდერთა დარად მათაც თამაშის მოუგებლად დაასრულონ მეოთხედფინალური სერია.

ტექნიკოსთა მიერ რეგულარული ჩემპიონატის ბოლოს „დინამოსთან“ ასაცდენად მოწყობილი კომბინაციების გამო რუსთაველებს მოედნის უპირატესობა ერგოთ, რაც სხვებზე თანაბარ ამ წყვილში ინტრიგას ამძაფრებდა. ქვემოქართლელებს ეს უპირატესობა სტიმულს აძლევდა, მაგრამ როცა თავს ზემოთ ძალა არ არის, გნიასი და კედელი ვერ გიშველის.

სავსე დარბაზის ყიჟინით შეგულიანებული რუსთაველები შემართებით მიეძალნენ ტექნიკოსებს, მაგრამ კლასში ბევრად სუსტებს მაყურებელთაგან მიღებული მუხტი მალევე გამოეცალათ. ყოფილმა აზოტელმა ირაკლი ჯაფარიძემ თანაქალაქელებს თავიდან 3 ქულა რომ ჩაუგდო, მცირე ხნით რუსთაველი იური დანიელიანის ჩრდილქვეშ მოექცა. ზაზა გაბისონიამ სამქულიანი გაისროლა, რასაც ტყეშელაშვილმა უმალ ორიანი მოაყოლა და რუსთავი ამ თამაშში პირველად და საბოლოოდ დაწინაურდა — 5:3.

მასპინძლები თავიდან კარგად იდგნენ დაცვაში, მაგრამ შეტევაში ვერ ხეირობდნენ, ბლომად სროლებს აცილებდნენ და ტექნიკოსებმაც მალე „სადამსჯელო ოპერაცია“ წამოიწყეს. ფეხმარდი უკანახაზელების დახმარებით სტუმრებს თვალის დახამხამებაში გადაჰქონდათ მეტოქის ნახევარზე ბურთი და ხან თვითონ ხეირობდნენ, ხანაც მაღალ თანაგუნდელებზე შედეგიან პასებს გასცემდნენ.

მე-8 წუთისთვის სტუ უკვე 10 ქულას იგებდა და მცირე შესვენებაზე 13-ქულიანი უპირატესობით გავიდა. მასპინძლებმა სამქულიანებით სცადეს მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ რას გახდებოდნენ, გუნდის ცნობილი სნაიპერი ლევან ჯიმშელეიშვილი ტრავმირებული ჰყავდათ.

მეორე მეოთხედიდან სტუმარმა შიო ხეცურიანმა იწყო თავისებური შედეგიანი გარღვევები, ზვიად ბაბაშვილიც ფარქვეშ ჩასაფრებულიყო და ტექნიკოსთა უპირატესობამ ტაიმის ბოლოს 20 ქულას მიაღწია.

მეორე ტაიმში ახალგაზრდა ლევან ტყეშელაშვილის და განსაკუთრებით ათუხთუხებული ტრიბუნების დახმარებით რუსთაველებმა სხვაობის 8 ქულამდე შემცირება მოახერხეს. ტექნიკოსთა თავკაცმა ნუგზარ ჭეიშვილმა წუთშესვენებით გამოაფხიზლა შეგირდები და მესამე მეოთხედის ბოლოს ის 18-ქულიანი სტატუს-კვო აღადგინა, რითაც სტუმ პირველი ტაიმი მოიგო.

ბოლო ათწუთეულს ფიქტიური ხასიათი ჰქონდა, რადგან „რუსთავი“ არ ჰგავდა იმ გუნდს, რომელიც ამხელა სხვაობას გააბათილებდა და ვერც შეძლო.

# შენ გელიან, კახა

**თსუ 1:0 მაკაბი**

23 აპრილი. ვერის ბაღი

**თსუ 94:79 მაკაბი**

24:21 27:23 17:13 26:22

**თსუ:** თორთლაძე (22), მაისურაძე (14), საყვარელიძე (2), ორმოცაძე (2), შენგელია (25); ნაცვლიშვილი (14), აბრამიძე (7), მარხვაშვილი (4), ფანჩულიძე (3)

**მაკაბი:** ნინოშვილი (24), ბადრიძე (4), წოწელია (21), ვაშაკიძე (4), სუხიშვილი (20); კონჯარია (4), ტატუნაშვილი (2), ფიცხელაური

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** როლანდ გელოვანი

განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, „მაკაბი“ საწყის მეოთხედში ჰა, ჰა, პირველი ტაიმის ბოლომდე ეჯაჯგურა სტუდენტებს, მერე კი უსაშველოდ ჩამორჩა და თამაშიც უიმედოდ წააგო.

სხვა გუნდებში გაჩემპიონებულ მოთამაშეთა მყოლ თსუ-ს გულის კუნჭულში ალბათ თავისი ჩემპიონობის იმედიც უღვივის და „მაკაბისაც“ სპარინგ-პარტნიორად აღიქვამს. სანამ ნაღდი ბრძოლები დაეწყებოდეთ, სტუდენტები ძალდაუტანებლად თამაშობენ და „მაკაბისაც“ მეოთხედფინალური სერიის პირველ მატჩში თავიდან გალაღების საშუალება მისცეს.

„მაკაბიში“ არაერთი სნაიპერი მოიძებნება და მწვრთნელიც მათ იმედზე იყო. ოღონდ სანამ შტატიანი სნაიპერი გოჩა წოწელია მიზანს გაისწორებდა, „მაკაბის“ მეფარეებმა იძალეს. გივი ვაშაკიძე კარგ პარტნიორობას უწევდა ლადო სუხიშვილს და ანგარიში რომ თანაბრად იზრდებოდა, სწორედ ამ ტანდემის დამსახურებაა.

თსუ კი პირიქით, თავიდანვე უკანახაზელების ხელჩუბინობის წყალობით იხვეჭდა ქულებს, დავით თორთლაძე და ირაკლი მაისურაძე პერიმეტრზე ჩასაფრებულიყვნენ და ჩასაგდებს აგდებდნენ. სათქმელია მაკაბელი გამთამაშებელ სოსო ნინოშვილის ღვაწლიც, რომელმაც სამიანიც ჩააგდო და თსუ-ს სამწამიანის ხშირი სტუმარიც გახლდათ.

პირველი ათწუთეულის 3 ქულით წაგების შემდეგ „მაკაბი“ უფრო მობილიზებული გამოვიდა მოედანზე, წოწელიასა და სუხიშვილის ქულებით მეორე მეოთხედის საწყისი წუთები 7:0 მოიგო და 28:24 დაწინაურდა. აქ კი ჩამოსცხათ სტუდენტებს და განსაკუთრებით მათ ცენტრ კახა შენგელიას, რომელმაც ალბათ გულში გაივლო, ამ გაჩხიკინებულმა სუხიშვილმა ფარქვეშ როგორ უნდა მაჯობოსო და მთელი ძალით ათამაშდა. შენგელიამ მთელი თავისი მასა გამოიყენა და „მაკაბის“ საქმეც აქ გათავდა. თსუ-მ პირველი ტაიმი 7 ქულით მოიგო, მერე კი ნელ-ნელა, აუღელვებლად ზრდიდა ანგარიშს და გამარჯვებამდეც იოლად მივიდა.

„მაკაბის“ მუდამ ოპტიმისტი მწვრთნელი ჯამლეტ ხუხაშვილი მატჩის შემდეგ იხტიბარს არ იტეხდა, მომდევნო შეხვედრაში ასე იოლად არ დავნებდებითო.

ჩვენ კი მაინც გვგონია, რომ 26 აპრილს თსუ მეორე მატჩსაც იოლად მოიგებს და ნახევარფინალშიც უდრტვინველად გავა.

**ირაკლი პერტაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 2004 NBA Playoffs



REUTERS ნიუ იორკიდან

კენიონ მარტინმა ნიუიორკელებს მოედანზეც და მოედანსგარეთაც დასცინა

## ნიუ იორკი ნიუ ჯერსისაა

### მანჰეტენში გარეუბნელები დაბობტებენ

წინა ორ პლეი ოფში ათას გუნდზე გადამხტარი და ყველაფრის გამომცდელი „ნიუ ჯერსი" ახლა ყველანაირი ხერხებით თავად ცდილობს მის გზაზე დამდგარი „ნიუ იორკის" ჩამოშორებას და ჯერჯერობით ყველაფერი ჯეისონ კიდის პასივით გაუდის — „უფროს", თუმც ბოლო წლებში დამჭლევებულ თანაქალაქელთან სერიაში „ნეთსი" 3:0 დაწინაურდა და მეორე ეტაპს ერთ გამარჯვებამდე მიუახლოვდა.

ბინძური თამაში, მეტოქისთვის თვალების ქაჩვა და შუბლით „ძიძგილაობა" ძველი ხერხებია, ახლა კი ნიუჯერსელებმა მოწინააღმდეგეთა დასაბეჩავებლად კიდევ ერთი ძველი მეთოდი გამოიყენეს და იერიში ახლა მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით მიიტანეს.

ორი თამაშის შემდეგ გარეუბნიდან შუაგულ მანჰეტენზე, „მედისონ სკვერ გარდენში" სათამაშოდ გადმობარგებული ნიუჯერსელები თამაშამდე შეუდგნენ მასპინძელთა „დამუშავებას". დილით გაზეთები აჭრელებული იყო ჯერსელი კენიონ მარტინის ფოტოებით: მას მაისურაზე ნიუიორკელი ტიმ ტომასის შეურაცხმყოფელი წარწერები გაეკეთებინა და ხმამაღალ ფრაზებსაც ისროდა — ერთი ამ მტირალა ბიჭიკოს შეხედეთ და მერე მე შემომხედეთო... ეს სწორედ ის ტიმ ტომასია, რომელიც კენიონ მარტინის ზორბა თანაგუნდელმა ჯეისონ კოლონზმა პირველივე თამაშში დაამტვრია.

შემდეგ კენიონ მარტინმა მოედანზეც იბობოქრა და უდაძაბულესი მატჩი „ნიუ ჯერსის" მოაგებინა. ბოლო წამებზე, როცა „ნიქსმა" „ნეთსს" სხვაობა ერთ ქულამდე შეუმცირა, მარტინმა ერთ შეტევაში სამი ქულა გაჩარხა და თავისიანები 80:76 დააწინაურა. მატჩის ბედიც აქ გადაწყდა.

მარტინმა ნამატჩევსაც გააგრძელა ბაქიაობა, ახლა არაფერს ვიტყვი, ჩემს მაგივრად ჩემმა შედეგებმა ილაპარაკონო.

სერიის მეოთხე მატჩსაც „ნიუ იორკი" უმასპინძლებს და შესაძლოა, სერიაც „მედისონ სკვერში" დამთავრდეს.

— 22 აპრილი —

**აღმოსავლეთი**

**ნიუ ჯერსი 3:0 ნიუ იორკი**

**ნიუ იორკი 78:81 ნიუ ჯერსი**

**ნიუ იორკი:** მარბერი (18 ქულა, 10 პასი, 6 მოხსნა), ანდერსონი, ჰარდევეი (18), კ. ტომასი (15 ქულა, 12 მოხსნა), მუჰამედი (18); ფ. უილიამსი (7), ბეიკერი (2), სვიტნი, მუტომბო

**ნიუ ჯერსი:** კიდი (19 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა, 4 ჩაჭრა), კიტლზი (11), ჯეფერსონი (17 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა), მარტინი (19 ქულა, 15 მოხსნა), კოლინზი (5); ჰარისი (6), ა. უილიამსი (4), როიჯერსი, არმსტრონგი

**დასავლეთი**

**სან ანტონიო 3:0 მემფისი**

**მემფისი 93:95 სან ანტონიო**

**მემფისი:** უილიამსი (16), მილერი (12), პოუზი (5), გასოლი (18), რაიტი (8); ველსი (14), სვიფტი (9), ბეტიე (6), უოტსონი (4), აუთლოო (1)

**სან ანტონიო:** პარკერი (18), თურქოღლუ (18), ბოუენი (7), დანკანი (22 ქულა, 13 მოხსნა), ნესტეროვიჩი (6); ჯინობილი (12), ჰორი (6 ქულა, 12 მოხსნა), ჰარტი (6), როუზი, ბრაუნი

ჰუბი ბრაუნის წლის მწვრთნელად აღიარების შემდეგ „მემფის გრიზლიზმა" ლამის სასოწარკვეთილი იერიში მიიტანა „სან ანტონიოზე" და სულ ერთი ზუსტი სროლა დააკლდა გამარჯვებამდე.

„გრიზლები" პირველად თამაშობენ პლეი ოფში და ორი სანანტონიოური მარცხის შემდეგ სურვილით იწვოდნენ, ელვის პრესლის ქალაქში პლეი ოფის შემოსვლა შამპანურით აღენიშნათ. ჩემპიონ „სფურზსაც" ბევრად მომზადებულები დახვდნენ, ვიდრე მანამდელ მატჩებში და ერთი პერიოდი 10-ქულიან უპირატესობასაც უწიეს. თუმც მთლიანობაში ამ თანაბარ მატჩში სასწორი ბოლო „სან ანტონიომ" გადახარა თავისკენ. ბოლო წამებისთვის სტუმრები ორი ქულით იგებდნენ და შეტევა მასპინძლებისა იყო: „გრიზლების" ერთ-ერთმა სნაიპერმა მაიკ მილერმა მოახერხა მეურვეებისგან თავის დახსნა და კარგადაც ისროლა, თუმც ბურთი მხოლოდ რგოლს დაეცა და ეს უკვე „მემფისის" 0:3 ჩამორჩენას ნიშნავდა სერიაში.

**ძოტე ყორშია**

## როცა გშია, ზაქარია

### რენდოლფს ცივი მჭადი მაინც შეხვდა

„მე ოლ სტარში ან პლეი ოფში თამაში მერჩივნა, მაგრამ არა უშავს, დასაწყისისათვის ეს ჯილდოც გამოდგება" — თქვა „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" ფორვარდმა ზაკ რენდოლფმა, როცა მას სეზონის ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშის პრიზი გადასცეს.

ამ პრიზისთვის მოწყობილ გამოკითხვაში რენდოლფმა იოლად ჩამოიტოვა ამ სეზონის სხვა აღმოჩენები — კლივლენდელი კარლოს ბუზერი, მემფისელი ჯეიმს პოუზი, იუტელი ანდრეი კირილენკო და მილუოკელი მაიკლ რედი. წლეულს გაბრწყინებულ ვარსკვლავთაგან ყველაზე მეტად ის იმსახურებდა გამორჩევას, რაკი სხვებზე დიდი ნახტომი გააკეთა. შარშან რენდოლფი მატჩში საშუალოდ 8,4 ქულასა და 4,5 მოხსნას აკეთებდა, წლეულს კი მონაგარი 20,1 ქულამდე და 10,5 მოხსნამდე ატყორცნა და „პორტლენდის" ლიდერადაც ეკურთხა.

რენდოლფი წინა სეზონში აღმოაჩინეს „პორტლენდის" მწვრთნელებმა. ერთხელაც, როცა შლეგ თავდამსხმელ რაშიდ ვოლესს მორიგი ისტერიული შეტევა დაემართა და ნბა-მ შვიდი თამაშის გამოტოვებით დასაჯა, თავკაცმა მორის ჩიქსმა თამაში 206-სანტიმეტრიან ბუთხუზა ზაკარიას დააწყებინა და გუნდმა იმ შვიდი მატჩიდან ხუთი მოიგო.

ამ რეგულარულ ჩემპიონატში ზაკი მყარად ჩაჯდა „პორტლენდის" პირველ ხუთეულში და კლუბის ბოსებმაც ყოველგვარი სინანულის გარეშე გაცვალეს რაშიდ ვოლესი. ზაქარია უფრო ბევრს მუშაობს და ნაკლებს ხმაურობს. ეგაა, ერთხელ მარიხუანის წევაზე ჩავარდა, მაგრამ მერე ბოდიში მოიხადა და ამ ამბავსაც არ გამოუწვევია დიდი აჟიოტაჟი.



## ჯემისონმა თავის სკამს მიაგნო




წუხელ ნბა-მ კიდევ ერთ ნომინაციაში დაასახელა გამარჯვებული — საუკეთესო მეექვსე კაცად დალასელი ანტუან ჯემისონი გამოცხადდა. ჯემისონმა ამერიკელ და კანადელ ჟურნალისტთა გამოკითხვაში ჯამში 338 ქულა მიიღო და უკან მოიტოვა ინდიანელი ალ ჰარინგტონი (275) და სანანტონიოელი ემანუელ ჯინობილი (244).

ჯემისონი მთელი კარიერა „გოლდენ სტეიტს" ლიდერი იყო და ამ ჯაგლაგ გუნდში არაფერი მოეგო. სეზონის დასაწყისში ის „დალასში" მივიდა და ამით ავტომატურად აღმოჩნდა სკამზე, თუმც აგერ მცირე პრიზი შეხვდა და პლეი ოფში არასდროს ნათამაშებს, ვინ იცის, „დალასში" რა წარმატებები ელოდეს. გამოკითხვაში მეხუთე ადგილი ერგო „დენვერში" ნიკა ცქიტიშვილთან ერთად სკამზე მჯდომ, მაგრამ მოედანზე ხშირ-ხშირად გამსვლელ 165-სანტიმეტრიან ჯუჯას ერლ ბოიკინსს.



ვინუს უილიამსი

## სლოვენიას ვინუსი მოედება

**უქმეებზე** წლევანდელი ფედთასის საპირველწრეო მატჩები შედგება. 16-გუნდა მსოფლიო ჯგუფში შარშანდელი ჩემპიონი საფრანგეთი გერმანიას ამლანურ წითელმიწაზე მიიღებს, ხოლო ვინუს უილიამსის მიერ ნაყოჩარი შარშანდელი ფინალისტი ამერიკელები სლოვენიაში, პორტოროზულ თიხნარზე გაირჯებიან.

ფრანგებს გერმანელებთან უკვე თხუთმეტი წელია, აღარ უფედთასიათ და ამდენად ამ მატჩს გამორჩეული ინტერესი ექცევა. თუმცა სტუმრებს, ვისმა გუნდმაც თასი ბოლოჯერ 1992 წელს მოიგო, ახლა ნაღდად არ ჰყავს ის შემადგენლობა, ამელი მორესმოს, მარი პირსს, ემილი ლუასა და ნატალი დეშის ტიტულდაცვის პერსპექტივა ჩანასახშივე ჩაუხშოს.

ერთადერთი, რაიც მარლენ ვაინგარტნერს, ბარბარა რიტნერსა და კომპანიას ეიმედებათ, ზურგის ტრავმის გამო წინა კვირას ჩარლსტონობას თვითგამოკლებული ამელი მორესმოს უთამაშებლობაა. მაგრამ ამის სანაცვლოდ ბომბა ფორმაშია ემილი ლუა, ვინაც ორი კვირის განმავლობაში ზედიზედ აიკლო კასაბლანკა და ეშტორილი.

ამერიკელებს კი ჩარლსტონში ნახეირალი ვინუს უილიამსის გარდა, ევროპაში ისეთი სპეკალიც ახლდებათ, როგორიც რომ 47 წლისა და დასტურ ყველაფრის მომგები მისი უდედათმავლესობა მარტინა ნავრატილოვაა. მართა დეიდას თითქოს თვალი პენსიაზე უჭირავს, მაგრამ იმავდროულად ვერც ჩოგნის ქნევას ეშვება. აი, ახლაც ფედთასეულში გარევა გადაუწყვეტია და სლოვენებს საწყვილოდ შეერკინება. მათ გარდა გუნდში არიან ლაურა გრენვილი და ლიზა რეიმონდიც.

სლოვენები მსოფლიო ჯგუფში მხოლოდ მეორედ გამოდიან და თითქოს ბევრის თავიც არ უნდა ჰქონდეთ, მაგრამ გამოცდილი მეჩოგნეები — კატარინა სრებოტნიკი, მაია მატევჟიჩი და ტინა პიშნიკი თასის ყველაზე მეტჯერ, ჩვიდმეტჯერ მომგებ სტუმრებს მაინც უფიცხელეს ბრძოლებს ჰპირდებიან.

დანარჩენ შეხლებში რუსეთი ავსტრალიას მიიღებს, ავსტრია — სლოვაკეთს, არგენტინა — იაპონიას, იტალია — ჩეხეთს, საფრანგეთი — გერმანიას, ესპანეთი — შვეიცარიას, ხოლო ბელგია — ხორვატიას.

ამ უკანასკნელ წყვილთან დაკავშირებით ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ბოლო მომენტამდე არავინ იცოდა, დართავდა თუ არა ჯერაც არმოშუშებული მარცხენა მაჯა მშობლიურ ბრეეში ხორვატთა წინააღმდეგ ჩოგნაობის ნებას კიმ კლაისტერსს. შეგახსენებთ, რომ ტრავმის გამიზეზების შემთხვევაში ლეიტონის გოგომ შეიძლება უიმბლდონამდე კორტზე დაბრუნება ველარ შეძლოს.

**მასტერსის სერია**

მონტე-კარლო. თიხნარი

საპრიზო 2 425 500 ევრო

**მეოთხედფინალი**

**გილერმო კორია** (3, არგენტინა) — **დავიდ ნალბანდიანი** (7, არგენტინა) 6:4, 6:3; **რაინერ შუტლერი** (4, გერმანია) — **ტიმ ჰენმანი** (6, ბრიტანეთი) 6:3, 6:4; **კარლოს მოია** (5, ესპანეთი) — **ნიკოლაი დავიდენკო** (რუსეთი) 6:4, 7:6 (7:4); **მარატ საფინი** (რუსეთი) — **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) 6:3; 3:6, 6:1

ძალოსნობა

## ევროპის ჩემპიონატი 20-26 აპრილი. კიევი

# თურქებმა კიევში ყველა აწიეს



პლამენ ჟილიასკოვს არ გაუმართლა

**კიევში** მიმდინარე ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი ქართველთათვის უმედლოდ გრძელდება. ტურნირის დასრულებამდე ორი დღეღა დარჩა და ჩვენებურებმა ჯერ ერთი ოლიმპიური ლიცენზიისთვის საჭირო შედეგსაც ვერ მიაღწიეს.

ბოლო ორი დღე თურქების ბაირამით მიდის. გუნდური ჩემპიონობის ფავორიტებმა ეს ტიტული უკვე თითქმის გაინაღდეს. 69 კილოგრამ წონაში ოქრო სელილ ეკრემმა გვარიანი უპირატესობით მოიგო, მიუხედავად იმისა, რომ პირველ დისციპლინაში მხოლოდ მესამე ადგილზე იყო. ატაცის ჩემპიონი ბელარუსი სერგეი ლორენაუ კი საბოლოოდ ბრინჯაოსლა დასჯერდა.

77 კილოგრამში თურქებმა სულაც ოქრო-ვერცხლი მოიგეს. ჩემპიონმა აქაც საგრძნობი უპირატესობით მოიტოვა პრიზიორები. 19 წლის შაგირ ტანერისთვის კიევური წარმატები დიდებში პირველია. მანამდე მას ორჯერ მოეგო მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებში. ორცენტნერიანი შტანგის აწევის შემდეგ ტანერის ჩემპიონობაში ეჭვიც აღარავის ეპარებოდა, მაგრამ გამოცდილმა და ასაკოვანმა ბულგარელმა პლამენ ჟილიასკოვმა 205 კილოგრამი შეუკვეთა. თუმც მსოფლიოს ჩემპიონმა ბულგარელმა ამ გადაწყვეტილებით თითქმის განაღდებული ვერცხლიც დაკარგა. მეორე თურქ მეჰმეთ ილმაზთან ზედმეტი პირადი წონით წააგო.

69 და 77 კილოგრამებში მოასპარეზე ოთხი ქართველი ძალოსნიდან ფინალურ ეტაპზე ერთიც ვერ გავიდა.

**69კგ**

| | |
|---|---|
| 1 სელილ ეკრემი (თურქეთი) | 337,5კგ (147,5+190) |
| 2 ნიკოლაი პეჩალოვი (ხორვატია) | 330კგ (147,5+182,5) |
| 3 სერგეი ლორენაუ (ბულგარეთი) | 325კგ (150+175) |

**77კგ**

| | |
|---|---|
| 1 ტანერ შაგირი (თურქეთი) | 367,5კგ (167,5+200) |
| 2 მეჰმეთ ილმაზი (თურქეთი) | 360კგ (162,5+197,5) |
| 3 პლამენ ჟილიასკოვი (ბულგარეთი) | 360კგ (165+195) |

ჭიდაობა

# კურამაგომედ კურამაგომედოვი გვარსახელიანად მძიმეა

**გუშინ** ანკარაში თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყო. დებულებით, პირველ დღეს ხალიჩაზე მხოლოდ 55, 66, 84 და მძიმე წონებში მოჭიდავეები უნდა გასულიყვნენ, მაგრამ მოულოდნელად, ყველა წონამ ჩაატარა ჯგუფური ეტაპის შეხვედრები.

პირველ წრეში ხუთმა ქართველმა იჭიდავა და მათგან სამმა გამარჯვებაც მოიპოვა. ოთარ თუშიშვილმა (66კგ) იტალიელ ოზარიო სკაფიტის სძლია და ჯგუფიდან გასასვლელად ფრანგ ვადიმ გიგოლაევს დაუპირისპირდება. რევაზ მინდორაშვილმა (84კგ) გერმანიის სახელით მოასპარეზე დავით ბიჩინაშვილს მოუგო, ხოლო თამაზ გეგეშიძემ (96კგ) სლოვაკ პეტერ პეჩას.

ბესიკ გუჩაშვილმა (55კგ) და დავით ოთიაშვილმა (მძიმე) კი ჩემპიონატი მარცხით დაიწყეს. პირველს ბულგარელმა ივან დიორევმა მოუგო, მეორეს კი ჩემპიონობის ერთ-ერთმა უმთავრესმა ფავორიტმა, რუსმა კურამაგომედ კურამაგომედოვმა. მიუხედავად წარუმატებელი სტარტისა, გუჩაშვილსა და ოთიაშვილს ქვეჯგუფიდან გასვლის შანსი ჯერ არ დაუკარგავთ, თუმც ეს თანაჯგუფელთა შეხვედრებზეა დამოკიდებული.

ლევან ჩაბრაძე (60კგ) და გელა სალირაშვილი (74კგ) კენჭისყრამ პირველ წრეში დაასვენა. მეორეში კი უკვე მარცხნაწვნევ თანაგუნდელებს ხვდებიან. სალირაშვილის მეტოქე გაუკრაინელებული ქართველის, ზაზა ზოზიროვის მიერ ძლეული მოლდოველი ალექსანდრუ ბურკა იქნება, ხოლო ჩაბრაძისა ბულგარელი ანატოლი გუიდეა.

ჯგუფური შეხვედრები დღეს დასრულდება. ხვალ კი ჩემპიონ-პრიზიორებიც გაირკვევიან.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ჰოკეი

ქართული ბიბლიოთეკა

## მსოფლიოს ჩემპიონატი

24 აპრილი – 9 მაისი. ჩეხეთი (პრაღა, ოსტრავა)





შარშანდელ ჩემპიონ კანადელებს წლეულს ტიტულს იოლად არ დაანებებენ

*სულ რამდენიმე საათიც და პრაღასა და ოსტრავაში მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონატი დაიწყება. ფავორიტების მრისხანე შემადგენლობას თუ გადავხედავთ, დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უაღრესად შთამბეჭდავი და საინტერესო ტურნირი გველის. ნჰლ-ის ვარსკვლავები ხომ მსოფლიოს ფორუმზე ჩასვლას უკვე აღარ თაკილობენ და მთელი სულით და გულით ებმებიან ბრძოლაში საკუთარი ქვეყნის ღირსების დასაცავად*

# ჩემი ქვანჯი, შენი ჰისმრი

## მსოფლიო მსოფლიოს აღარ უკადრისობს

ნჰლ-ის პლეი ოფიდან გავარდნილი გუნდების თითქმის ყველა ლიდერი გამოეხმაურა თავიანთი ნაკრებების თავკაცების მიწვევას და ჩემპიონატში მონაწილეობაზე დათანხმდა. ძლიერთაგან მაინც ჩეხეთის და კანადის ნაკრებები გამოირჩევიან. ჩეხები, როგორც მასპინძლები, ისედაც მთავარ ფავორიტებად აღიქმებიან, მაგრამ საკუთარი ყინული არაა მათი ერთადერთი უპირატესობა. იაგრი, სტრაკა, ჰავლატი, ვოკოუნი და კიდევ სხვა, 10-ზე მეტი „პროფესიონალი“ უკვე ნაკრებშია. თან მათი უმეტესობა დიდი ხანია, ჩეხეთშია. ნაკრებში კონკურენცია ისეთი მაღალია, რომ შეიძლება ზოგიერთი ნჰლ-ელიც ვერც კი მოხვდეს შემადგენლობაში.

არანაკლებ მრისხანედ გამოიყურება კანადის ნაკრებიც. გუნდში მოხვედრილი 23 მოთამაშეს შორის ოლიმპიური ჩემპიონებიც არიან, მსოფლიოს პირველობების გამარჯვებულნიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ნჰლ-ის წლევანდელი პრიზიორების კანდიდატებიც (რაზეც „სარბიელის“ შემდეგ ნომერში გაუწყებთ). განსაკუთრებით მეკარეთა რგოლია გამოსარჩევი. სეზონის საუკეთესო მეკარის ტიტულზე წარდგენილი ფლორიდელი რობერტო ლუონგოსა და შარშანდელი თასის უძვირფასეს, ანაჰაიმელ ჟან სებასტიან ჟიგერის სახელი უდავოდ გაგონილი გექნებათ. არც სხვა ხაზებში იგრძნობა ლიდერთა ნაკლებობა. ჩამოვთვალოთ: „ნიუ ჯერსის“ მცველი სკოტ ნიდერმაიერი, ფორვარდები — დანი ჰიტლი („ატლანტა“) და რაიან სმიტი („ედმონტონი“). საინტერესოა, რომ ჰიტლისთვის ეს მეექვსე მსოფლიოს ჩემპიონატია. სამწუხაროდ, ბოლო მომენტში გუნდს დააკლდა ამ სეზონის საუკეთესო მეგოლე, 19 წლის რიკ ნეში („კოლუმბუსი“), რომელიც კიდევ ერთმა ამომავალმა ვარსკვლავმა, მასზე ერთი წლით უმცროსმა პატრის ბერჟერონმა („ბოსტონი“) შეცვალა.

ცხადია, ფინეთის, შვედეთის და სლოვაკეთის გუნდებს თავიანთი აზრი აქვთ ჩემპიონატის ფავორიტობაზე, თუმც... სკანდინავიური ნაკრებების მოთამაშეთა შორის სახელოვანთ ნაკლებად იპოვით. „სუომელთა“ სამწუხაროდ, მათი მთავარი ვარსკვლავები საკუ კოივუ და ტეემუ სელიანე აგრძელებენ ოკეანგაღმა სტენლის თასისთვის ბრძოლას, ხოლო შვედებს ერთბაშად ოთხმა ვანკუვერელმა უღალატა (საერთო ფონზე ეს ალბათ ერთადერთი გამონაკლისია). მათ შორისაა თავად მარკუს ნესლუნდი, ეგრეთ წოდებული შვედი №3. პეტერ ფორსბერგი და მათს სუნდინიც ანუ №1 და №2 შვედებიც თასისთვის იბრძვიან, თუმც მათი მონაწილეობა ჯერაც არაა გამორიცხული. თასის მეორე რაუნდი მაისის პირველ რიცხვებში მთავრდება და ზოგს საშუალება მიეცემა, ჩემპიონატის მთავარ მატჩებში მიიღოს მონაწილეობა.

სლოვაკებს თითქმის ყველა სასურველი მოთამაშე ჰყავთ ნაკრებში. საერთოდ ამ ქვეყნის ლეგიონერები განსაკუთრებული პატრიოტიზმით გამოირჩევიან და ეს ტურნირიც არ არის გამონაკლისი. გვარების დასახელებაც საკმარისი იქნება: მარიან ჰოსა, პეტერ ბონდრა, მიროსლავ შატანი, იოზეფ შტუმპელი, მარიან გაბორიკი... მოკლედ, ყველა, ვინც სლოვაკებს 2002 წლის „ოქრო“ და 2003 წლის „ბრინჯაო“ მოუტანა და დაამსხვრია მითი ჩეხეთის „უმცროსი ძმის“ თაობაზე.

რუსებს და ამერიკელებს ფარულ ფავორიტებად მიიჩნევენ. ამერიკელები შეეცდებიან, პრესტიჟი აღიდგინონ შარშანდელი მე-13 ადგილის შემდეგ, ხოლო რუსები, როგორც ყოველთვის, ხმაურიან განცხადებებს აკეთებენ, მაგრამ ბოლო 10 წელიწადში მხოლოდ ერთი, ისიც ვერცხლის მედალი მოიპოვეს. ისე, გუნდი საკმაოდ კარგადაა დაკომპლექტებული. გამოვარჩევდით ილია კოვალჩუკს და ალექსეი იაშინს. ნაკრებს სათავეში კვლავ ვიქტორ ტიხონოვი უდგას. წარსულში საბჭოთა კავშირის დიდი გამარჯვებების არქიტექტორი 74 წლის ასაკშიც მოგებაზე ოცნებობს.

**სამველ ღარიბიანი**

## პლეი ოფი. მეორე წრე

### დასავლეთი

**დეტროიტი 0:1 კალგარი**

**დეტროიტი 1:2 კალგარი**

*0:0 1:1 0:0 0:1*

1:0 ლანგი (27), 1:1 რეჟე (38), 1:2 ნილსონი (63)

**სან ხოსე 1:0 კოლორადო**

**სან ხოსე 5:2 კოლორადო**

*3:0 2:1 0:1*

1:0 მარლო (11), 2:0 დამფუსი (13), 3:0 შენანი (20), 3:1 კონოვალჩუკი (30), 4:1 მარლო (32), 5:1 მარლო (34), 5:2 ფორსბერგი (41)

### აღმოსავლეთი

**ფილადელფია 1:0 ტორონტო**

**ფილადელფია 3:1 ტორონტო**

*1:1 1:0 1:0*

1:0 ამონტე (8), 1:1 მოგილნი (15), 2:1 რაგნარსონი (26), განიე (56)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge